ივანე როსტომაშვილის რედაქციით.

ისტორია
აღმოსავლეთისა

ძველი ეგვიპტზე, მცირე აზია, ინდოეთი, საქართველო, მიდია, სპარსეთი.

ივ. გომართელის-მიერ.

გამოცემა **პ. ი.** მეფისაშვილისა.

თფილისი
სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა.
1897

ძველი ეგვიპტე.

კუშიტები.

საღმრთო წერილის სიტყვით ნოეს ჰყავდა სამი შვილი: ქამი, სიმი და იაფეტი. ქამის შვილი იყო კუში; ამიტომ მის შთამომავლობას უწოდებენ კუშიტებს. კუშიტებმა დაიკავეს წინა აზიის სამხრე ნაწილი, ინდუსტანიდამ მოკიდებული სუეზამდე, და ჩრდილო აფრიკა. დღეს მათგან დარჩენილან ფელ-

ლახნი ეგვიფტეში, აბაშელნი და ბერბერნი. კუშიტები შავი კანის და მორჩილი ტანის ხალხია, ტუჩები სქელი აქვთ და თმა ხუჭუჭი.

სიმის ჩამომავლობას შეადგენენ არაბები, ბაბილონელები, ასურელები და სხვ.

იაფეტის ჩამომავლობას უწოდებენ არიელებს. გარდმოცემის სიტყვით იაფეტს ჰყავდა შვილი ღამერი, ღამერს თარგამოსი და თარგამოსის შვილი იყო ქართლოსი, რომელიც ქართველთ მამათ-მთავრად ითვლება.

ეგვიპტეს უჭირავს გძელი და ვაკე ალაგი აფრიკაში; ამ ალაგს რწყავს დიდი მდინარე ნილოსი. უძველეს დროში ეგვიპტე სამ ნაწილად იყოფოდა. ქვემო ეგვიპტე, რომელიც ნილოსის ორ ტოტ შუა, ზღვის პირას, მდებარებდა; მისი სატახტო ქალაქი იყო საისი. შემდეგ იწყებოდა საშუალო ეგვიპტე, რომლის სატახტო ქალაქად მდებარებდა ზემო ეგვიპტე, რომლის სატახტო ქალაქი იყო თები.

ეგვიპტე, როგორც ამბობს საბერძნეთის უძველესი მეისტორიე ჰეროდოტ გარიკარნახელი, რომელმაც ეგვიპტე დაიარა და აღწერა, „ნილოსის საბოძვარია“. მართალიც არის: ეგვიპტეში თუ რამე მოდიოდა, მხოლოდ ნილოსის წყალობით. მკათათვეში ამოდენა მდინარე საშინლად მოდიდდებოდა, ნაპირებიდამ გადმოვიდოდა და თავის გარშემო მდებარე ალაგებს სულ დაჰფარავდა. მცხოვრებლები მაღლობ ალაგებზედ შეიხიზნებოდნენ ხოლმე. მთელი ეგვიპტე ამ დროს ერთ დიდ ზღვას წარმოადგენდა. ქრისტეშობისთვეში-კი ნილოსი ისევ დაპატარავდებოდა, ნოყიერ შლამს მინდვრებზედ ტოვებდა და ამიტომაც მიწა ყოველისფერ მოსავალს ძალიან უხვად იძლეოდა; წელიწადში მოსავალი ორჯელ მოდიოდა. ეგვიპტელები ნილოსს აღმერთებდნენ და თაყვანსა სცემდნენ; მისი სათავე-კი არ იცოდნენ სად იყო, თუმცა ბევრჯელ უძებნიათ. მოგვები-კი ხსნიდნენ – ნილოსი ზეციდამ ვარდება და მისი მოდიდების მიზეზი იზიდას *) ცრემლები არისო.

ეგვიპტეში ცხოვრებდნენ კუშიტები – გულკეთილი და მეტად შრომის-მოყვარე ხალხი. ესენი აქ უძველეს დროს აზიიდამ მოვიდნენ, გარეკეს ნილოსის გარშემო მცხოვრები შავი ხალხი, რომელიც თავისი ცხოვრებით პირუტყვებისაგან ბევრით არაფრით განირჩეოდა, და მათ ალაგას თვითონ დაბინადრდნენ. იქ კუშიტები ჯერ ცალ-ცალკე თემებად ცხოვრობდნენ თვითეული თემის უფროსი იყო ქურუმი **); შემდეგ ქურუმების უფროსობა მოისპო და ერთი სამეფო დაარსდა. პირველი ფარაონი, რომელიც გარდმოცემას დახსომებია, იყო

მენესი. ის მეფობდა ხუთი ათას წელს ქრისტეს წინეთ მენეს
მა ააშენა მხნოფრი ანუ მემფისი და თავის სატახტო ქალაქად

---

*) იზიდა იყო ხელოვნების დამაარსებელი ღმერთი.

**) ეგვიპტელების მღვდელი.

გახადა. მემფისის გარშემო მენესმა გააკეთა დიდი ბოგირები, რომლებიც დღესაც-კი არსებობენ კოშეიშის ბოგირების სახელით. მენესის გამეფებამდე ეგვიპტის უპირველესი ქალაქი იყო ონი, რომელმაც მის დროს თავისი მნიშვნელობა დაჰკარგა, ამ გვარად მენესმა დაარსა სამეფო, რომელიც ოთხი ათასი წელი ისტორიულ ასპარეზზედ მოქმედებდა. ამ დროს განმავლობაში მის ტახტზედ გამოიცვალა ოც-და-ათი დინასტია, ე. ი. სამეფო გვარეულობა. ამ დროს ჰყოფენ სამ ნაწილად: ძველ სამეფოდ – პირველი დინასტიიდამ მოკიდებული მეთერთმეტემდე; საშუალო სამეფოდ – მეთერთმეტე დინასტიიდამ დაწყებული ქოჩათ-მავალთა შემოსევამდე და ახალ სამეფოდ – ქოჩათ-მავალთა შემოსევიდამ სპარსეთის მფლობელობამდე. ამ გვარი დაყოფა ცოტა უხერხულია, რადგანაც ეს თვით ეგვიპტის ისტორიის მსვლელობას არ შეესაბამება; ამიტომ საფრანგეთის მეცნიერი მასპერო ამ ხანას ასე ჰყოფს:

1. მემფისის ხანა (1 -10 დინასტია).

2. თების ხანა (11-20 დინასტია). ეს ხანა იყოფა ორ ხანად: ა. ძველი თების სამეფო (11-15 დინასტია) ქოჩათ მავალთა შემოსევამდე და ბ. ახალი თების სამეფო (16-20 დინასტია) ქოჩათ მავალთა შემოსევიდამ.

3. საისის ხანა (21-30 დინასტია). ეს ხანა იყოფა ორ ხანად: ა. საისის პირველი ხანა (21-26 დინასტია) სპარსელთ შემოსევამდე და ბ. საისის მერე ხანა (27-30 დინასტია) სპარსელების შემოსევიდამ.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, მენესმა ააშენა ქალაქი მემფისი; ეს ქალაქი მან შესწირა ღმერთს პტას, რომელმაც უწოდა ამ ქალაქს მეორე სახელი – აკუპტა; აქედამ ბერძნებმა თვით მხარეს დაარქვეს ეგვიპტე. ძველმა სამეფომ 2000 წელი გასძლო. ამ დროის ნაშთი არის მემფისის ახლოს მეორე დინასტიისაგან აშენებული პირამიდა *). მენესის გამეფებიდამ მთელი ეგვიპტის განათლება მემფისსა და აბიდოსს შუა დამყარდა. მემფისში მეფენი ცხოვრებდნენ, აქვე აღორძინდა და გაძლიერდა ხელოვნება. დანარჩენ ალაგებს მნიშვნელობა არა ჰქონდათ; ისინი უვიცობის წყვდიადში იყვნენ გახვეული.

მეორე გამოჩენილი მეფე იყო მეოთხე დინასტიაში მენ-

კერი. მისი სარკოფაგი **) ამ საუკუნეში იპოვეს, მაგრამ რო-
ცა გემით ინგლისში მიჰქონდათ, პორტუგალიის ნაპირებთან
გემი დაიმსხვრა და სარკოფაგიც ზღვაში დაიღუპა.

მემფისის ხანაში უმთავრესი ალაგი სამხედრო წოდებას
ეჭირა; ადგილ-მამული მას ეკუთვნოდა, ის სრული ბატონი
იყო, დანარჩენი ხალხი-კი მისი მონა, რომელსაც მიწა უნდა
დაუმუშავებია და თავისი ოფლით ის ერჩინა. დაბალი ხალხი
ძალიან შევიწროებულ და აუტანელ მდგომარეობაში იყო; სა-
მხედრო წოდების გარდა, რომელიც კისერზე აჯდა, ფარაო-
ნებიც შეუბრალებლად სულს ართმევდნენ: თითო პირამიდას
თითქმის უხელსამწყო-იარაღოთ ნახევარი მილიონი ხალხი ოც-
და-ათი წლის განმავლობაში აშენებდა. რისთვის იკარგებოდა ამ-
დენი შრომა და ჯაფა? რისთვის უნდოდათ ამოდენა შენობე-
ბი? მხოლოდ ყოყოჩი ფარაონების თავმოყვარეობისათვის. შე-
ვიწროებულმა ხალხმა ბოლოს მოთმინება დაჰკარგა და აჯანყ-
და. ამ დროდამ მოკიდებული 500 წლის განმავლობაში ეგ-
ვიპტის შესახებ თითქმის არავითარი ცნობები აღარა გვაქვს.

2500 წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე ეგვიპტის ის-
ტორიაში ახალი – თების ხანა დაიწო. დიდი ხნის პირველობის შე-
მდეგ მემფისმა თავისი მნიშვნელობა დაჰკარგა და მისი ალაგი

---

*) პირამიდა დიდი თავმწვეტი შენობაა, რომელიც ეგვიპტეში იცო-
დნენ.

**) სარკოფაგი – კუბოს მზგავსი.

თებმა დაიჭირა. თებმა სამასი წელი იმოქმედა ისტორიულ ას-
პარეზზედ; ეგვიპტის ისტორიაში ეს დრო საუკეთესო ხანად
ითვლება. ამ დროს ეგვიპტის სამზღვრებმა ძალიან შორს გა-
იწია. მეურნეობა გავრცელდა. ხელოვნებამ და მწიგნობრობამ
წინ წაიწია. ეგვიპტის ანბანი იყო სურათული; სურათული წე-
რა სამ გვარი იყო: იეროგლიფური, იერატიული და დემოტიური;
ორი პირველი დარჩენილია სხვა-და-სხვა ძეგლებზედ, უკანასკ-
ნელი ნაწერი-კი პაპირუსის *) ქაღალდზედ. ამ დროს გამოი-
ჩინეს ეგვიპტელებმა მთელი თავისი სიბრძნე და ნიჭი; ამის
შემდეგ ისინი წინ აღარ წასულან. ამ ხანას კაცობრიობის მო-
მავალზედ დიდი გავლენა ჰქონდა. თების ხანაში შესანიშნავი
მეფე იყო ამონემხატ III. ის კარგი იყო, როგორც მეომარი
და მტრის პასუხის გამცემი, მაგრამ ამავე დროს კარგი მმარ-
თველიც იყო და სწავლა-განათლების პატივის-მცემელი და მი-
მდევარი.

ეგვიპტის სამზღვრები მან ძალიან გააგანიერა და დაამარც-

ხა მრავალი წვრილი ხალხი, რომელიც ეგვიპტეს მოსვენებას
არ აძლევდა. ყველაზედ შესანიშნავი არის მისგან გაკეთებუ-
ლი მირის ტბა. როდესაც ნილოსი ადიდდებოდა და ნაპირე-
ბიდამ გადმოვიდოდა, ეს უშველებელი ხელოვნური ტბა წყლით
ივსებოდა. ამ გვარად წყალი ინახებოდა და, თუ, ვინიცობაა,
მეორე წელს ნილოსი საკმაოდ არ ადიდდებოდა, მაშინ ამ
ტბის წყალს მიუშვებდნენ მინდვრებს და გოლვისაგან იფარავ-
დნენ. გარდმოცემის სიტყვით შუა ტბაში ორი პირამიდა იყო
აშენებული; ერთზედ უშველებლად გამოქანდაკებული იყო
ამენემხატი, მეორეზედ მისი მეუღლე. შესანიშნავია აგრეთვე
ხელოვნების მხრივ და უზარმაზრობით ამენემხატ მესამის სასახ-
ლე-ლაბირინტი, ტბის აღმოსავლეთით. ის შეიცავდა სამი ათას

---

*) ერთნაირი წყლის ბალახია ეგვიპტეში.

ოთახს; ნახევარი მათგანი მიწური იყო. ამ სასახლეს ერქვა
ლოპეროგუნიტი, რომელიც ბერძნებმა ლაბირინტად გადააკე-
თეს. ჰეროდოტის სიტყვით მთელი საბერძნეთის ყველა სასახ-
ლეები და შენობანი ამ ერთ ლაბირინტს ვერ შეედრებოდა.

თების ხანას მემფისის ხანასთან შედარებით ერთი ნაკლი
აქვს: ამ დროს დაბალი ხალხის მდგომარეობა ვუარესი და უფ-
რო აუტანელი გახდა. ბატონებს ძალა და უფლება თანდათან
ემატებოდათ და საწყალ დაბალ ხალხს აღარაფრით აღარ ზო-
გავდნენ.

2300 წელს პალესტინაში მოვიდნენ ურიები, განდევნეს
იქიდამ კუშიტები და შემდეგ ეგვიპტეს შემოესივნენ; ააოხრეს
ჩრდილო ეგვიპტე და გიქსების სახელით აქ 500 წელი ბრძანე-
ბლობდნენ. 1700 წელს თებში მათ წინააღმდეგ აჯანყება მოხ-
და. გიქსები დამარცხდნენ; ზოგი მათგანი პალესტინაში დაბ-
რუნდა, დანარჩენი ეგვიპტელებმა მონებად აქციეს. პალესტი-
ნაში მობრუნებულმა გიქსებმა ეგვიპტიდან სწავლა-განათლება
მოიტანეს და თავის სამშობლოს მოჰფინეს.

გიქსების შემდეგ ეგვიპტის ისტორიაში საისის ხანა იწყე-
ბა. ამ ხანამ განსაკუთრებით თვისი ხელოვნებით გაითქვა სა-
ხელი. მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდნენ სასახლეები და
ეკლესიები. ამ ხანაში შესანიშნავია მემნონის უშველებელი
აღალმა *), რომელიც მზის ამოსვლისას მწუხარედ ყვირილს და-
იწყებდა ხოლმე. საისის ხანაში შესანიშნავი ფარაონი იყო
ფუტმეს III (1600 წლიდამ). მას ომი ძალიან უყვარდა; მის
დროს ეგვიპტის სამფლობელოში შედიოდა ეთიოპია, არაბე-
თი, მთელი სირია, ფინიკია, ბაბილონი და ასურეთი. მთელი

თავისი სიცოცხლე მან განუწყვეტელ ბრძოლაში და სისხლის ღვრაში გაატარა და ისე გააძლიერა ეგვიპტე, როგორიც ის

---

*) გამოქანდაკებული სახე.

არაოდეს არ ყოფილა, არც მანამდის, არც მის შემდეგ. მშვიდობიანობის დროს ფუტმეს III თავის სამეფოს გალამაზებას უნდებოდა; მრავალ მშვენიერ შენობებს აშენებდა და წინაპრებისაგან დაწყებულსაც ამთავრებდა. ამ ფარაონის სიკვდილის შემდეგ ეგვიპტეში დიდი უწეს-რიგობა ასტყდა; მტრებმა ამით ისარგებლეს და ეგვიპტეს ბევრი ალაგი ჩამოაცალეს. 1400 წელს გამეფდა რამზეს ანუ სეზოსტრის II. მან მტრებს პასუხი გასცა და წართმეული ადგილები უკან დაიბრუნა. გარდმოცემის სიტყვით რამზეს II თავის ომების დროს იმერეთშიაც შემოვიდა და აქ თავისი ჯარის ნაწილი დაასახლაო; ამ ჯარის ნაწილიდამ წარმოსდგნენ კოლხნი და ალაგსაც კოლხიდა დაერქვაო. ჰეროდოტის დროს კოლხიდაში შედიოდა ეხლანდელი სამეგრელო და იმერეთისა და გურიის რამოდენიმე ნაწილი, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ. ჰეროდოტი ძველი გარდმოცემით ხელმძღვანელობს და ამბობს, ეხლანდელი კოლხიდელები წარმოსდგნენ ეგვიპტელებისგან, რომელნიც აქ სეზოსტრისმა (რამზეს II) დაასახლაო; დამამტკიცებელ საბუთად მოჰყავს მოშავო ფერი, ხუჭუჭი თმა და წინადაცვეთა, რომელიც ჰეროდოტის სიტყვით მხოლოდ ეგვიპტელებმა, ეთიოპელებმა და კოლხიდელებმა იცოდნენ.

მაგრამ ეს საფუძვლები საკმარისი არ არის, რადგანაც მოშავო კანისა და ხუჭუჭ-თმიანი ხალხი თვით ჰეროდოტმაც მრავალი იცოდა კოლხებს გარდა; წინადაცვეთაც ძველად ეგვიპტელებსა და კოლხიდელებს გარდა სხვამაც ბევრმა იცოდა. შეიძლება, რამზეს II-მ თავის ჯარის ნაწილი მართლაც დაასახლა კოლხიდაში, მაგრამ შედარებით მკვიდრ მცხოვრებთან ეს ნაწილი ძალიან ცოტა იყო და, როგორც ცალკე ერი, მალე მოისპო.

გარდა ამისა ძველად ლაზებს ზოგი კოლხებს უძახდა, ზოგი ლაზებს, ამიტომ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ლაზები და კოლხები ერთი და იგივე ხალხი იყო; ლაზები ქართველები იყვნენ და დღესაც არიან, როგორც ლინგვისტიკამ დაამტკიცა; მაშასადამე, იგივე ლაზ-კოლხნიც ქართველები უნდა ყოფილიყვნენ, ძველადაც და ჰეროდოტის დროსაც, და არა ეგვიპტელნი. ორსავე შემთხვევაში ჰეროდოტის აზრი შემცდარია: რამზეს II-მ დაასახლა თუ არა კოლხიდაში ეგვიპტელნი,

ამას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ისინი მოისპნენ მალე, როგორც კერძო ერი, და კოლხიდელებს ამიტომ წინაპრობას ვერ გაუწევენ. ძველი კოლხები ცალკე ერი არ ყოფილა, არამედ ისინი იყვნენ იგივე ლაზები; ლაზები ქართველები არიან და, მაშასადამე, კოლხნიც ქართველები უნდა ყოფილიყვნენ.

რამზეს მ-II-ე ვაჟკაცობის გარდა შესანიშნავი მმართველიც იყო. ეგვიპტე მან გაამშვენიერა და მრავალის საუცხოვო შენობებით მორთო. ეგვიპტეში და ნუბიაში, როგორც მარიეტტი ბრძანებს თავის „Histoire d'e ggrte"-ში, ისეთი ნანგრევი არ მოიპოება, რომელზედაც რამზეს II-ის სახელი არ იყოს. რამზეს II-ის დროს პოეზიაც აყვავდა, მაგრამ ის წრფელი არ არის, თავისუფალი შემოქმედება აკლია და მისი ერთად ერთი საგანი არის რამზეს II-ის ქება-დიდება. დაბალ ხალხს მაინც არა ეშველა-რა; მისი მფარველი და შემბრალე არავინ იყო. ყველას განუსაზღვრელი ბატონი ფარაონი იყო. ხალხი მას აღმერთებდა; ეკლესიებში მისი კერპების წინ მსხვერპლი იწირებოდა. ეგვიპტეში ფარაონს ეკუთვნოდა მიწის მესამე ნაწილი; დამონებულ ხალხზედ დადებული ხარკი ხომ სულ მისი იყო. ფარაონი ყოველთვის ერთსა და იმავე დროს დგებოდა, სადილობდა, ბანაობდა და იძინებდა. ფარაონის ხელქვეითი იყო სამხედრო წოდება, რომელიც მისის ბრძანებით სამეფოს ჰმართავდა. ზოგი მათგანი სასახლეში ვეზირობის დანიშნულებას ასრულებდა, სხვები 36 ოლქებს ჰმართავდნენ.

ეგვიპტელების საომარი იარაღი იყო შვილდ-ისარი, შუბი, ხანჯალი, ფარი და ჩაფხუტი. ეგვიპტეში სამხედრო სასწავლებლებიც კი იყო. სამხედრო პირებს ჯამაგირი არ ეძლეოდათ, მაგრამ მათ ჰყავდათ მრავალი ყმა და ადგილ-მამულის მეორე წილიც მათ ეკუთნოდა. ადგილ-მამულის მესამე წილი იყო ქურუმებისა, რომლებიც ეგვიპტეში ცალკე წოდებას შეადგენდნენ. ისინი დიდ პატივში იყვნენ და დიდი გავლენა და მნიშვნელობაც ჰქონდათ. ყოველ ორ დღეში მათ თავი და წარბები უნდა ეპარსათ, ემარხულათ და დღეში ორჯელ ებანავათ. თევზისა და ღორის ხორცის ჭამის ნება არა ჰქონდათ. ეგვიპტეში, გარდა ქურუმებისა, ყველას უფლება ჰქონდა რამდენიმე ცოლის შერთვისა; სამხედრო წოდებას და ქურუმებს ერთმანეთში ნათესაობრივი კავშირი ჰქონდათ; გლეხებს-კი ისე უყურებდნენ, როგორც პირუტყვებს. მათ არავითარი უფლება არა ჰქონდათ და უადგილ-მამულონი იყვნენ; ბატონების მამულს ამუშავებდნენ, მოსავალის უმეტეს წილს ბატონს აძლევდნენ, მცირედი ნაწილი-კი მათი იყო.

რამზეს II-ის შემდეგ მოგვებმა *) მთელი ქვეყნის უფრო-
სობა თვითონ იგდეს ხელში. სარწმუნოება, სწავლა-განათლება,
მეცნიერება და ხელოვნებაც მათ ხელში იყო და ამიტომ ისი-
ნი სრული ბატონები იყვნენ.

ეგვიპტეში გავრცელებული იყო გეომეტრია, ექიმობა,
გეოგრაფია და ვარსკვლავთ-მრიცხველობა. წელიწადს იქ ჰყო-
ფდნენ თორმეტ თვედ, თვეს სამ ნაწილად; დღე და ღამე ოც-
და-ოთხი საათისაგან შესდგებოდა; ყოველ წელიწადს ისინი
უმატებდნენ ხუთ დღეს. ამ გვარად მათი გამოკვლევით წელი-
წადი თითქმის იმხელა იყო, როგორც ეხლა. ეგვიპტეში ყვე-
ლაზედ უფრო ცნობილი და მნიშვნელოვანი ვარსკვლავი იყო

---

*) მოგვი იგივე ქურუმია, აგრეთვე ვარსკვლავთ-მრიცხველი.

სოპტი; მოგვები მის მოძრაობას დიდის ყურადღებით ადევნებ-
დნენ თვალს, რადგანაც წყალ-დიდობის მოახლოებას მისით
გებულობდნენ. ექიმობა ძალიან იყო გავრცელებული; აქ იყვ-
ნენ თვალის ექიმები, კბილის, შინაგანი ავადმყოფობის და სხვა.
ყველაზედ უფრო-კი თვალის წამლობა იყო შემუშავებული,
რადგანაც ეგვიპტეში თვალის ტკივილი ძალიან გავრცელებუ-
ლი იყო. ეგვიპტეში მწერლობა ადრე აღორძინდა, მაგრამ
ყველაზედ უფრო სასულიერო მწერლობა იყო განვითარებუ-
ლი. ჩვენამდე მოატანა მათმა „მიცვალებულთა წიგნმა“, რომელ-
საც თვითოეულ მუმიას *) ჩაატანდნენ ხოლმე. ის შეიცავს
ლოცვებს და დარიგებებს, რომლებიც მიცვალებულს საიქიოს
დასჭირდებოდა. მიცვალებული სათითაოდ ჩამოუთვლის ღმერთს
ოზირისს მას, რაშიაც დანაშაული არ მიუძღვის: „შიმშილით
არავინ მომიკლავს, არავინ ამიტირებია, არავინ მომიკლავს,
არც მკვლელი წამიქეზებია, სიცუდკაცე არ ჩამიდენია, ეკლე-
სიები არ გამიცარცვავს და მრავალი სხვ...“ ამ გვარად, რო-
გორცა ჰხედავთ ამ პატარა ალაგიდამ, მიცვალებული მხოლოდ
მას ამბობს, რაც არ ჩაუდენია, იმის შესახებ-კი, თუ რა კე-
თილი საქმეები მიუძღვის, ხმას არ იღებს.

ეგვიპტელები ძალიან ღვთის მოყვარე ხალხი იყო. მათის
გარდმოცემით უწინარეს ყოვლისა იყო ერთი დიდი ზღვა –
ნუ, რომლის ძირშიაც იყო ყოველივე იმისი თესლი, რაც ეხ-
ლა ქვეყანაზედ არსებობს; ყველაზედ უმალ ზღვიდამ ამოვიდ-
ნენ ღმერთები და მათ ყოველივე გააჩინესო. უმთავრესი ღმერ-
თი იყო მზე, რომელსაც ზემო ეგვიპტეში ფრას ანუ ამონს
უწოდებდნენ, საშუალო ეგვიპტეში – ფტას, ქვემო ეგვიპტე-
ში – ოზირისს. ეს მამა ღმერთი იყო არსებით ერთი, გონიერი

და მიუწდომელი, ცისა და ქვეყნის შემოქმედი; ის ყოველ-

*) სხვა-და-სხვა წამლებით შეზავებული მიცვალებულია.

თვის იყო და დასასრული არა აქვს. ის არის სამება: მამა ღმერ-
თი, დედა-ღმერთი და ძე ღვთისა. ამ გვარად მათ თითქმის
იგივე წარმოდგენა ჰქონდათ უზენაეს არსებაზედ, როგორიც
ეხლა ჩვენ. ოზირისი იყო ყოველივე კეთილისა და სწავლა-
განათლების ღმერთი; მას ჰყავდა ძე გარმახუტი. სიტი მისი მო-
სისხლე მტერი იყო. ძმამ ტიფონმა ოზირისი მოჰკლა, აჰკეპა
და ქვეყანაზედ გადმოყარა. ამის შემდეგ ოზირისი საიქიოს გა-
დასახლდა. ეგვიპტელებს სულის უკვდავება სწამდათ, თუნცა
სული მათ ცოტა სხვანაირად ეყურებდათ, ვიდრე ჩვენ: მა-
თის აზრით ყოველი ადამიანის სული იყო იგივე ადამიანი,
რომელსაც თავიც ჰქონდა, ტანიც, ხელებიც, ფეხებიც, მაგ-
რამ უხილავი-კი იყო; ამ გვარად ყოველი ადამიანი ნამდვილად
ერთი-კი არა, ორი იყო: ხილული და უხილავი. მიცვალებუ-
ლის სული ნავით საიქიოს გაემგზავრებოდა და წარსდგებოდა
მსაჯულების წინაშე: მსაჯულებად იყვნენ ოზირისი და მისი
ხელქვეითი ორმოც-და-ორი ღმერთი. ცოდვებსა და კეთილ სა-
ქმეებს სულის გული ან სინიდისი აღიარებდა; მსაჯულები ამას
ჭეშმარიტებისა და სამართლის სასწორზედ ასწონდნენ და ცო-
დვა-მადლის სიმძიმის მიხედვით თავის მსჯავრს დასდებდნენ.
ცოდვილი სული მიდიოდა ჯოჯოხეთში, სადაც ის უწმინდუ-
რი საჭმლით იკვებებოდა... ათას გვარი ტანჯვა-წვალებისა და
დამცირების შემდეგ ის ისევ ქვეყანაზედ დაბრუნდებოდა და
რომელიმე უწმინდური პირუტყვის გვამში შედიოდა. ბოლოს
სული ისევ თავის ტანს დაუბრუნდებოდა. ამიტომ ეგვიპტე-
ლები მიცვალებულებს შეჰმურავდნენ ხოლმე, ესე იგი სხვა-
და-სხვა წამლებით შეაზავებდნენ, რომ სულის მობრუნებამდე
ტანი არ წამხდარიყო და შენახულიყო. ამ გვარ შემურულ მი-
ცვალებულს ჰქვია მუმია.

მართალ სულს ღმერთები უკვდავების წყლით ასხურებდ-
ნენ; ის მეტს ცოდნას და ძალას იძენდა და შემდეგ თვით ოზი-
რისს შეუერთდებოდა.

ეგვიპტელები თითოეულ ღმერთს რომელიმე პირუტყვს
შესწირავდნენ და ამ ღმერთს თავის პირუტყვიანა ჰხატავდნენ
ხოლმე, როგორც ჩვენ – მოციქულებს. დროთა განმავლობა-
ში ეს შეწირული პირუტყვებიც ღმერთებად იქცეოდნენ ხოლ-
მე. სხვა-და-სხვა ალაგას სხვა-და-სხვა პირუტყვს სცემდნენ თა-
ყვანს, მაგრამ მთელს ეგვიპტეში ერთნაირ პატივსა სცემდნენ

ხარს – აპისს. აპისი ითვლებოდა ოზირისის სულად; ის იყო მემფისის სამლოცველო ეგუტერში. ის უნდა ყოფილიყო სულ შავი, მხოლოდ შუბლზედ თეთრი ნიკორა ჰქონოდა. როცა მას ოც-და-ხუთი წელი შეუსრულდებოდა, მოგვები წმინდა აუზში დაახრჩობდნენ. მის სიკვდილს მთელი ეგვიპტე საშინელის ტირილით და მწუხარებით ჰგლოვდა, სიკვდილის შემდეგ ის ოზირისს უერთდებოდა და ამიტომ ამის შემდეგ მას უწოდებდნენ ოზირის-აპისს. თავდაპირველად მათ ცალკე საფლავებში მარხავდნენ. რამზეს მეორის დროდამ-კი დაუწყეს მარხვა ერთ სასაფლაოში, რომელიც 1815 წელს მეცნიერმა მარიეტტიმ იპოვა. როცა ეგვიპტელები მეორე აპისს ნახავდნენ, მაშინ განუსაზღვრელ ლხინსა და ქეიფს დაიწყებდნენ ხოლმე.

რამზეს II-ის შემდეგ ეგვიპტე ოთხასი წლის განმავლობაში, თითქმის ათას წლამდე ქრისტეს წინედ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეადგენდა, მაგრამ ეს ხანა მაინცა და მაინც, არაფრით არის შესანიშნავი, გარდა რამზეს III-ისა, რომელიც II-ეს მოგაგონებდათ. მან გაიმარჯვა სირიაში, მისი ხომალდები საბერძნეთამდე მიდიოდნენ. ეს იყო ეგვიპტის ძლიერი ფარაონების უკანასკნელი წარმომადგენელი; მან აღადგინა ეგვიპტის სამეფო იმ სახით, როგორც ის იყო ერთი საუკუნის წინეთ, რამზეს II-ის დროს. მაგრამ ამავე დროს ეგვიპტე სრულიად მოიქანცა და მოიღალა; ფუტმოს III-ის დროს ეგვიპტე ჯერ ყმაწვილი იყო, ძალ-ღონით აღსავსე, ამიტომ მას ბრძოლა უყვარდა, ბრძოლის ველზედ ვარჯიშობა სწყუროდა; ეხლა-კი ის მოღალული დაქანცული და სიბერეს გარდასული მშვიდობიანობისაკენ მიისწრაფოდა, რომ თავის დიდების უმაღლეს წერტილზედ წყნარად და შეუშფოთებლად სული დაეღია. რამზეს III-ის შემდეგ ეგვიპტე დაეცა. დასავლეთიდამ მტრები წამოიშალნენ და ეგვიპტეს ცარცვა-გლეჯა დაუწყეს. ამ დროს აღმოსავლეთში ორი დიდი სამეფო გაძლიერდა: ასსურეთი და ურიასტანი. თვით ეგვიპტეში არეულობა ასტყდა: მოგვებმა ფარაონებს უფლება წაართვეს; ქურდობა და ავაზაკობა გაძლიერდა. ეგვიპტელი ქურდობის ვუარს არც ეხლა ამბობს; შემთხვევის დროს ის ისეთ ნივთებსაც-კი მოიპარავს, რაც მისთვის სრულებით გამოუსადეგარია. ძველ ეგვიპტეში-კი ქურდობა უფრო გავრცელებული იყო. რადგანაც მიცვალებულებს მრავალ ოქროსა და ძვირფას ნივთებს ჩააყოლებდნენ ხოლმე, ამიტომ ქურდობის უმთავრესი სარბიელი სასაფლაოები იყო; ავაზაკების მთელი ბრბოები დადიოდნენ, დასაფლავებულ მდიდრებსა და ფარაონებს მიწიდამ იღებდნენ და ცარცვავდნენ. ეგვიპტე ნაწილ-ნაწილად დაიყო; ეთიოპიამ შე-

ადგინა ძლიერი სამეფო; მისი სატახტო. ქალაქი – მერო, სიმ-
შვენიერით და განათლებით ბერძნებსაც-კი ანცვიფრებდა. სხვა
ოლქებიც განთავისუფლებას და დამოუკიდებლობას ცდილობ-
დნენ. ფარაონი საისში იმყოფებოდა და საქმისათვის ვერაფე-
რი მოეგვარებია.

700 წელს ქრისტეს წინეთ ეთიოპიის მეფე შაბაკუ ბრძო-
ლით საისამდე მივიდა, ფარაონი ბოკენრანფი ტყვედ შეიპყრო
და დასწვა. ამის შემდეგ 50 წელი ეგვიპტე ეთიოპიის ხელში
იყო. შაბაკუ ეგვიპტელებს კარგად ეპყრობოდა; მათ წარმო-
მადგენლებს და გამოჩენილ პირებს დიდ პატივსა სცემდა, მა-
გრამ სამაგიეროთ სასტიკათ თვალყურს ადევნებდა და მათგან
სრულს მორჩილებას თხოულობდა. ხალხის კეთილ-დღეობისა-
თვის ბევრსა ზრუნავდა; საქარავნო გზები შეაკეთა, მრავალი
ახალი არხები გაიყვანა, განაახლა ძველი დაქცეული ეკლესი-
ები და აღადგინა ამოშლილი წარწერები. სიკვდილით სასჯე-
ლი მოსპო; მის ნაცვლად დამნაშავეს რაიმე მუშაობაში უნდა
მიეღო მონაწილეობა; ამის გამო აღარც სიკვდილით ისჯებოდა
ვინმე და მუშა ხალხიც ბევრი ჰყავდა სახელმწიფოს. ამ გვა-
რის მოქმედებით მან მთელს ეგვიპტეში დიდი სახელი და პა-
ტივი მოიხვეჭა. ამ დროს ასურელები იმდენად გაძლიერდნენ,
რომ მთელი სირია და პალესტინა დაიპყრეს. მათი მეფე სარ-
გონი ეგვიპტეს შემოესია, ეთიოპები დაამარცხა, მემფისი და
თები გაცარცვა, ტყვეები თავის სატახტო ქალაქ ნინევიაში
წაიყვანა, ეგვიპტე-კი 12 ნაწილად დაყო და თორმეტ ერის-
თავებს ჩააბარა. ერისთავთა შორის ყველაზედ გონიერი და
გამჭრიახი იყო საისში დამწვარი ფარაონის ჩამომავალი – პსა-
მეტიხი. ბერძნების შემწეობით, რომლებიც ამ დროს ნილოსის
პირში მოვიდნენ, მან დაამარცხა 11 ერისთავი მემფისის ახ-
ლოს, განდევნა ასურელნი და ეთიოპნი და დაარსა 656 წელს
საისის სამეფო. ის დიდის გულმოდგინებით შეუდგა თავისი
აოხრებული სამეფოს აღდგენას და კიდეც მიაღწია თავის მი-
ზანს; ამ მხრივ ის იგივე იყო ეგვიპტისთვის, რაც მეფე დავით
აღმაშენებელი საქართველოსათვის. ეგვიპტე მალე გამობრუნდა;
სწავლა-განათლება და ხელოვნება ძველებურად აბიბინდა. პსა-
მეტიხს კარგი განწყობილება ჰქონდა ეთიოპებთან, ასურელებ-
თან და ბერძნებთან; ის განსაკუთრებით დიდ პატივსა სცემდა
და აფასებდა ბერძნებს; მათ უხვად ასაჩუქრებდა, კარგ ადგი-
ლებს აძლევდა; მათ მასწავლებლად იჭერდა და ეგვიპტელ ყმა-
წვილებს ბერძნულსა და ვაჭრობას ასწავლებინებდა. ბერძნე-
ბიც ეგვიპტის სწავლა-განათლების სიძველითა და სიმაღ-
ლით განცვიფრებულნი იყვნენ. ეგვიპტე გარდაიქცა განათლე-

ბის სალაროდ, სადაც საბერძნეთის გენიოსებმა – სოლონმა, პითაგორმა, პლატონმა, – სიბრძნე და მეცნიერება შეისწავლეს. თვით ეგვიპტელები-კი ბერძნებს ზიზღითა და ეჭვის თვალით უყურებდნენ. საზოგადოთ ეგვიპტელებს კარგი განწყობილებ-ბა ჰქონდათ ყველა იმ ხალხთან, რომლებსაც უძველესი დრო-იდამვე იცნობდნენ, როგორც, მაგალითად, ფინიკელებს, ურიებს და თვით ასურელებსაც-კი, მაგრამ ბერძნები-კი სძულდათ და მათი არა სწამდათ-რა. თუ რამდენათ სძულდათ ეგვიპტელებს ბერძნები, ამას შემდეგი გარემოება ნათლათ ამტკიცებს: როცა პსამეტიხმა თავის მცველებად ბერძნები დანიშნა, მაშინ ორას ათასმა ეგვიპტელმა მეომარმა სამშობლოს თავი დაანებ-ბა და ეთიოპიაში გადვიდა; პსამეტიხმა ეს გვიან გაიგო, მაგ-რამ მაშინათვე დაედევნა უკან, დაეწია და თითქმის ატირებულმა შესთხოვა, თქვენს ღმერთებს და ცოლშვილს ნუ დატოვებთო. ერთმა ჯარის კაცმა უზრუნველათ უპასუხა, საცა უნდა ვიყოთ, ცოლშვილს ყველგან ვიშოვითო. ფარაონი ბევრს ეხვეწა, მაგრამ ისინი არ დაბრუნდნენ და ეთიოპიაში გადავიდნენ, სადაც მეფემ (იქაურმა) ისინი დიდის სიხარულით მიიღო. ამ შემთხვევამ ეგვიპტეს საშინელი ზიანი მისცა: უამისოდაც დასუსტებულ ეგვიპტეს ეხლა სრულებით გამოეცალა ძალა. ნინევია დაეცა, მაგრამ დაუძლურებულმა ეგვიპტემ ამით ვერ ისარგებლა თავის დამოუკიდებლობის აღსადგენათ და გასაძლიერებლათ. 611 წელს პსამეტიხი გარდაიცვალა და სრულიათ ეგვიპტის ტახტზე ავიდა მისი შვილი ნეხაო II. ნეხაო II ეგვიპტელს არა ჰგავდა. მას მეტათ უყვარდა ვაჭრობა და მრეწველობა და მათ გაძლიერებისათვის ბევრსა ზრუნავდა. მან ზღვაზედ მშვენიერი გემები გამართა და ვაჭრობის გავრცელებისათვის სამი წლის განმავლობაში მთელს აფრიკას ზღვით გარს შემოუარა. ამ დროს ბაბილონმა ასურეთი დაამარცხა. ამით ნეხაომ ისარგებლა და აზიის ადგილები ისევ დაიბრუნა, მაგრამ გავიდა ამის შემდეგ სამი წელიწადი და ნეხაო 604 წელს გარგამიშთან ნაბუქუდონოსორმა დაამარცხა. ნებაო II-ის შემდეგ ეგვიპტეში გამეფდა ამაზისი, რომელიც უფრო ბერძენსა ჰგავდა, ვიდრე ეგვიპტელს. ცოლად ბერძნის ქალი შეირთო, ბერძნებს დიდ პატივსა სცემდა და საბერძნეთის უმთავრეს წმიდა ალაგებს ძვირფას შესაწირავებს უგზავნიდა. ამაზისის შემდეგ გამეფდა მისი შვილი პსამეტიხ III. მის დროს სპარსელებმა მთელი წინა აზია დაიპყრეს და ეგვიპტისკენაც გაილაშქრეს. პსამეტიხი შეებრძოლა სპარსეთის მეფეს კამბიზს პელუზიასთან, მაგრამ დამარცხდა და მემფისში გაიქცა; კამბიზი უკან დაედევნა და მემფისი აიღო. ეს მოხდა 525 წელს ქრისტეს

დაბადებამდე. კამბიზი პსამეტიხს ისე მოეპყრო, როგორც ნამ-
დვილ მეფეს, მაგრამ მალე შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ
შეთქმულობა იყო, პსამეტიხზედ ეჭვი შეიტანა, მოაკვლევინა
და ეგვიპტის მმართველად სპარსელი არიანდესი დანიშნა.

სპარსელები ყოველ გვარ საშუალებას ხმარობდნენ, რომ
ეგვიპტელებისათვის ზნე-ჩვეულება, ენა და სარწმუნოება დაე-
კარგვინებიათ, მათი ეროვნული ნიშან-წყალი მოესპოთ და
გადაეგვარებიათ, მაგრამ ეგვიპტელები ისეთის გასაოცარის
სიმედგრით იცავდნენ თავის ეროვნებას, რომ მათი ამ გვარი
მამულიშვილობა თან აკვირვებს ადამიანს, თანაც მათდამი პა-
ტივისცემით ჭვალავს. საზიზღარი ბატონების მოშორებას ეგ-
ვიპტელები მრავალჯერ ცდილობდნენ, მეტადრე მეხუთე საუ-
კუნეში ლიბიელებთან და ათონთან ერთად, მაგრამ ტლანქ ძა-
ლას ვერაფერი დააკლეს. მამულის ვარამი საფლავში ჩაიტა-
ნეს, მაგრამ სამაგიეროთ განწმენდილის სინიდისით სიკვდილი
მაინც შეეძლოთ; უფლება ჰქონდათ, უკანასკნელს ჟამს თამა-
მათ ეთქვათ, მამულისა და ეროვნების გადასარჩენად არასფე-
რი არ დაგვიზოგავსო; მხოლოდ ვაი მის სინიდისს და მის უკა-
ნასკნელ ჟამს, ვინც ამ უფლებას მოკლებულია! ვაი მას, ვი-
საც უკანასკნელ ჟამს თვისი სინიდისის მხილება ჰკითხავს –
ეროვნული სახის დაცვისათვის და მამულის წარმატებისთვის
რა გააკეთეო, და იმის უნებურათ გული უპასუხებს, არაფერიო.
სპარსელები ეგვიპტეში ორასი წელი ბრძანებლობდნენ, სანამ
ისინი ალექსანდრე მაკედონელმა არ დაამარცხა და ეგვიპტე
თვითონ არ დაიპყრო. ბერძნების შემდეგ ეგვიპტე რომაელე-
ბის ხელში გადავიდა; ეგვიპტელებმა თავისუფლება დაჰკარგეს,
მაგრამ სახელი მათ, რომ თავისუფლებას ეროვნებაც უკან არ გა-
ატანეს.

ეგვიპტის ცივილიზაციამ უმაღლეს წერტილს თითქმის მე-
მფისის ხანაშივე მიაღწია; აქედამ დაწყებული ალექსანდრე მა-
კედონელამდე ეგვიპტეს წინ დიდი ბიჯი აღარ გადუდგამს, მა-
გრამ რასაც ეგვიპტემ ასე ადრე მიაღწია, კაცობრიობისათვის
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბევრი მეცნიერი იმას ამბობს, აღმოსავლეთის ცივილიზა-
ცია რომ არ ყოფილიყო, ევროპა ასე მალე ვერ დაწინაურ-
დებოდაო; აღმოსავლეთის ცივილიზაცია საფუძველი იყო, რო-
მელზედაც ევროპის ცივილიზაცია აშენდაო; ამ საფუძველში
ეგვიპტის ცივილიზაციას შესამჩნევი ალაგი უჭირავს და, მაშა-
სადამე, ევროპის განათლებაში მასაც წილი უდევს.

ეგვიპტე მთელი კაცობრიობის პირველი სასწავლებელი
იყო.

ორიოდე სიტყვა ქალების მდგომარეობის შესახებაც. ქალებს ეგვიპტეში პატივსა სცემდნენ და ძალიან კარგადაც ეპყრობოდნენ. ის ისეთივე ადამიანი იყო, როგორც მამა-კაცი, და მასაც იგივე უფლებები ჰქონდა მინიჭებული, რაც მამაკაცებს. ქალს ეგვიპტეში სამეფოს მართვის უფლებაც-კი ჰქონდა, რის მაგალითიც ეგვიპტის ისტორიაში ბევრია.

სემიტები.

ბაბილონი, ასურეთი და ქართველები მცირე აზიაში.

აზიის ისტორიაში ხამიტების შემდეგ პირველ ალაგს სემიტები იჭერენ. სემიტები ტანად კუშიტებზედ მაღალი არიან, სქელი წვერი აქვსთ, თეთრი კანი, სახე მოგრძო, ცხვირი მოხრილი, – საზოგადოდ ხმელ-ხმელი აგებულებისა არიან. სემიტები პამირიდამ *) კუშიტების შემდეგ გამოვიდნენ. ზოგი მათგანი დასავლეთისაკენ გაემგზავრა და ქალდეველეთში დადგა, რომელიც ბაბილობის სამხრეთ ნაწილს შეადგენდა. ზოგი-კი ჩრდილო მესოპოტამიაში შევიდა ასურის წინამძღოლობით; ამიტომ ამ ალაგს ასურეთი დაერქვა. დანარჩენი სემიტები-კი არაბეთში და აბაშეთში დაბინადრდნენ.

ქალდეველმა სემიტებმა ბაბილონის სამეფო დააარსეს. აი რას ამბობს გარდმოცემა ბაბილონის დაარსების შესახებ: ერთმა მხედართ-მთავარმა ნინმა თავისი შესანიშნავი ვაჟკაცობით და ურიცხვი გამარჯვებით ძალიან შორს გაითქვა სახელი; მან დააარსა აზიაში დიდი სამეფო, რომელიც შეიცავდა ბაბილონს, სომხეთს, სპარსეთს და ყველა ქვეყნებს ხმელთა შუა ზღვიდამ მოკიდებული მდ. ინდამდე. ტიგროსის ნაპირზედ მან ააშენა ქალაქი ნინევია, რომელიც მალე გაიზარდა, გამშვენიერდა და ერთი უპირველესი ალაგი დაიჭირა. ამის შემდეგ ნინმა ბაქტრიის დედა ქალაქს ეგბატანას გარს შემოერტყა. აქ ის შეხვდა მშვენიერ ქალს სემირამიდას; მისი სიმამაცით და სიმშვენიერით აღტაცებულმა ნინმა სემირამიდა მოიტაცა, ცოლად შე-

---

*) პამირი ეხლანდელი ავღანისტანისა და ბუხარის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის.

ირთო და თავის მემკვიდრეთ გახადა. სემირამიდამ ააშენა ბაბილონი. ბაბილონის კედლების სიგრძე ირგვლივ იყო 60 ვერსი, კედელში დატანებული ჰქონდა 250 კოშკი; კედლის სი-

სქე-კი ისეთი იყო, რომ ზედ ექვსი ეტლი ერთათ თავისუფ-
ლათ გაივლიდა. ყოველივე ამას გარდმოცემა მოგვითხრობს,
მაგრამ ნინი და სემირამიდა უფრო მოგონილი გმირები უნდა
იყვნენ, ვიდრე ნამდვილი ისტორიული პირები. ბაბილონი მა-
ლე შესანიშნავ ქალაქად გადაიქცა; ეს ქალაქი-კი არა მთელი
სამეფო იყო, რომელსაც თავისი სიმდიდრით და სიმშვენიერით
ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა. აქედამ მოდიოდა საქარავნო
გზები საქართველოში, ასურეთში, მცირე აზიაში, გილანის *)
ზღვისკენ და ინდოეთში; ამიტომ აქ ვაჭრობა ძალიან გავრცე-
ლებული იყო. ბაბილონელები მეტად ამაყი და ფუფუნებას
მოყვარული ხალხი იყო, მაგრამ ამასთანავე სწავლა-მეცნიერებას
მოწიწებით უყურებდნენ და ძალიანაც ეტანებოდნენ. მათ კარ-
გათ იცოდნენ ვარსკვლავთ-მრიცხველობა; წელიწადს ჰყოფდ-
ნენ კვირებად, თითო კვირეს შვიდ დღედ; დროს გასაგებათ
მზის საათსა ხმარობდნენ; ამასთანავე დანამდვილებით გამო-
კვლეული ჰქონდათ, როდის უნდა ყოფილიყო მთვარის დაბ-
ნელება; ზომა და წონა მათ თითქმის ყველაზედ უმალ მოი-
გონეს. ბაბილონშივე განვითარდა გეომეტრია და ხუროთ-მო-
ძღვრება. ბაბილონელებს სწამდათ ღმერთები ბელა და მილიტა;
ბაბილონი სწავლა-განათლებისა და მეცნიერების შუა გული
იყო და ისეთივე დიადი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა,
როგორც ეგვიპტეს. ეს იყო მთელი კაცობრიობის ქალაქი;
ადამიანის ყოველ გვარ ღირსებას და ნაკლულევანებას აქ ერ-
თად მოეყარა თავი; ერთის მხრივ ბაბილონი იყო ფუფუნების
მოყვარული და ზნეობა დაცემული, მეორეს მხრივ განათლე-

*) ასე ეძახდნენ ძველად კასპიის ზღვას.

ბული და მეცნიერებით აღჭურვილი. ბაბილონის გულისათვის
ეგვიპტე და ასურეთი ერთმანეთს ებრძოდნენ, არა მე მეკუთ-
ვნის და არა მეო. 1600-1300 წლამდე ეგვიპტე ჯობნიდა;
მაგრამ ამ დროს ეგვიპტე თანდათან სუსტდებოდა და მხოლოდ
მილეული სანთელივით ხანდახან თუ გამოანათებდა ხოლმე.
ასურეთი-კი თავის სატახტო ქალაქი ნინევიათი თანდათან ძლი-
ერდებოდა. ამის გამო 1300 წელს, როცა ეგვიპტეს ასურე-
თის მოქიშპეობა აღარ შეეძლო, ბაბილონი ასურელების ხელ-
ში გადავიდა. ამის შემდეგ ასურეთი კიდევ უფრო გაძლიერ-
და. 1100 წელს ასურეთში გამეფდა ტუგულტი-ფალესარრა I.
ეს იყო მეტის-მეტად მხნე და მეომარი მეფე.

მან დაიპყრო ჩრდილო სირია და ხმელთა-შუა ზღვამდე
მივიდა; ამის შემდეგ მან ბაბილონი დაიპყრო, მაგრამ ბაბი-

ლონის მეფე მარდუკნადინახემ თავის სამეფოდამ ასურელები მა-
ლე განდევდა.

ტუგულტი-ფალესარრის მეფობის დროს მუშკნი და ტა-
ბალნი თავის მთა-ადგილიდამ წამოვიდნენ და კომმაგენა დაიპყ-
რეს. ამ ქვეყანას ეკავა ტავრის მთები, ტიგროსის სათავეში,
დიარბექირამდე. რადგანაც ეს ქვეყანა ტუგულტი-ფალესარრას
მოხარკე იყო, ამიტომ უკანასკნელმა შემოსეული მტრების წი-
ნააღმდეგ გაილაშქრა და მალე განდევნა ისინი. ასურულ ლურ-
სმებრივ წარწერების მიხედვით მუშკებს და ტაბალებს მეთორმე-
ტე საუკუნიდამ მოკიდებული მეშვიდე საუკუნემდე, კაპპადოკია,
კილიკია და ეფრატის სათავე სჭერიათ. რაულინსონის სიტყვით
მეშეხები სირიის ტავრის და კაპპადოკიის უმთავრეს ხალხად ით-
ვლებოდნენ. ნაბუქოდონოსორის დროს-კი (604-561)ტაბა-
ლები უფრო აღმოსავლეთით ცხოვრობენ. ეზეკიილი იხსენი-
ებს ორ ხალხს – მუშეხს დხ ტუბალს. ასურულ წარწერებშიაც
მუშკი და ტაბალი ყოველთვის ერთად იხსენიებიან, როგორც
ორი მონათესავე ხალხი. საბერძნეთის ისტორიკოსი ჰეროდო-
ტი იხსენიებს შავი ზღვის პირას ორ ხალხს – მოსხებს და ტი-
ბარენებს. ეხლა დამტკიცებულია, რომ ასურული წარწერების
მუშკი და ტაბალი, დაბადების მუშეხი და ტუბალი და ჰეროდო-
ტის მოსხნი და ტიბარენნი ერთი და იგივე ხალხია. მეცნიერებ-
მა ისიც-კი დაამტკიცეს, რომ ეს ორი მონათესავე ხალხი ქარ-
თველები იყვნენ.

მუშკი და ტაბალი ასურეთის გაძლიერების დროს დიდ
სახელმწიფოს შეადგენდნენ. ისინი მონებით და სპილენძეულო-
ბით ფინიკიელებთან ვაჭრობდნენ. ასურელებთან-კი მათ შეუ-
წყვეტელი ომი ჰქონდათ; ხან ამარცხებდნენ მათ, ხან-კი მათი
მოხარკე ხდებოდნენ. ისინი მთელი რვა საუკუნის განმავლო-
ბაში ებრძოდნენ ასურეთს თავისი ეროვნების დასაცველად.
სხვა-და-სხვა პირობებისა გამო ისინი თანდათან ჩრდილოეთი-
საკენ იწევდნენ, შავი ზღვის მთიან ალაგებში, სადაც მათ შე-
მდეგში ბერძნები მოსხებად და ტიბარენებად იხსენიებენ. ჟამთა
ვითარებაში ტაბალი შეიცვალა ტუბალად, ტიბარად, იბერად, იმე-
რად; მათ შთამომავლობას შეადგენდნენ იმერნი, ლაზები და
ჭანები; მუშკი შეიცვალა მოსოხად, მოსხად, მათგან წარმო-
სდგნენ მესხები. მოსოხნი იდგნენ ვანის ახლოს, სადაც ეხლა
ლურსმებრივი წარწერები იპოვეს, რომლებიც ჰეროდოტის
ალაროდიელებისაგან (არარატელებისაგან) არის დატოვებული.

ტიბარენების ნაწილს შეადგენდნენ მაკრონები, რომლებიც
მდინარე ირისის აღმოსავლეთით ცხოვრებდნენ, ტრაპეზუნა-
მდე *). მაკრონები არიან იგივე სანნები ან ეხლანდელი ჭანები;

ჭანები არიან ქართველები, დღესაც ქართულს ენაზედ ლაპა-
რაკობენ და ქართული ზნე-ჩვეულება შეირჩინეს. ჭანებს ეკუ-
თვნიან აგრეთვე ლაზები, რომლებსაც ძველი მწერლები: მე-
მნონი, პლინიოსი, არრიანი და სხვები იხსენიებენ. ლაზების

*) ტრაპეზონი – შავი ზღვის პირას ქალაქია.

ენა გამოიკვლიეს გ. როზენმა და ვენის პროფესორმა ფრ. მი-
ულლერმა; მათის აზრით ლაზების და მეგრელების ენა ერთ-
მანეთთან ძალიან ახლოს არიან. ტიბარები მცირე აზიისა და
კავკასიის გეოგრაფიაში მე-IV საუკუნის ბოლოს ქრებიან; მათ
შემდეგ იხსენიებიან იბერიელნი; მოსხთა მეზობლად ცხოვრობდ-
ნენ ხალიბნი, რომლებიც ქართველთა ტომისანი იყვნენ; ამტკიცე-
ბენ, რომ ხალიბნი იგივე ქალდეველნი არიანო; თუ ეს მართალი
გამოდგა, მაშინ ქალდეველნიც ქართველები უნდა იყვნენ. ყოვე-
ლივე ეს აშკარად გვაჩვენებს, თუ რამდენად გავრცელებული
იყო მცირე აზიაში ქართველობა. შეგვიძლია, დარწმუნებითა
ვსთქვათ, რომ მცირე აზიის უმეტესი ნაწილი ქართველებით
იყო დასახლებული. ზოგიერთი სახელები მცირე აზიაში მხო-
ლოთ იმით აიხსნება, რომ აქ წინეთ ქართველები ცხოვრო-
ბდნენ *). მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში სამ მდინარეს ჰქვია
მენდერე. ეს სიტყვა წარმოსდგა ქართული მდინარიდამ; სადიდამ
წარმოსდგებოდა, რომ აქ წინეთ ქართველები არ ყოფილიყვ-
ნენ?! ლიდიაში იყო მთა თმოლისი, ეს სახელი წარმოსდგა
თოვლიდამ, რადგანაც მ და ვ ერთმანეთის ახლობელი ნათესა-
ვები არიან **). მეორე საბუთი, რომელიც გვიმტკიცებს, რომ
მცირე აზიაში წინეთ ქართველთა ტომნი ცხოვრობდნენ, ის
არის, რომ მცირე აზიაში და საქართველოში ერთი და იგივე
სახელის ქალაქები და მდინარეებია ***). მაგალითად, ქიზიყი
მარმარილოს ზღვის პირას და ქიზიყი კახეთში; ქუთაპა ფარსა-
კის სათავეში და ქუთაისი იმერეთში; ენგური მცირე აზიაში და
ენგური საქართველოში (სამეგრელოში). ქალაქი ონი მცირე
აზიაში და ონი რაჭაში; ჰალასი ანუ ალაზანი მცირე აზიაში და

*) ინგლისის მეცნიერი გაიდ კლერკი.

**) ხახანაშვილი.

***) ხახანაშვილი.

ალაზანი კახეთში; თიონეთი კაპპადოკიაში და თიონეთი იორზე;
ატენი შავი ზღვის პირას და ატენი გორის მაზრაში; ჭალა
მცირე აზიაში და ჭალა ქართლ-იმერეთში. ეხლა იკითხავთ,

საიდამ მოხდა, რომ მცირე აზიაში და საქართველოში ერთი
და იგივე მდინარე და ქალაქებიაო. ამის ერთადერთი მიზეზი
ის არის, მცირე აზიაში ძველის-ძველად ქართველები
ცხოვრობდნენ; მათ მდინარეებს და ქალაქებს ზემოთ აღნიშ-
ნული სახელები ერქვათ. ჟამთა ვითარებაში ქართველებმა სა-
მხრეთ-დასავლეთიდამ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ წაიწიეს;
ზოგმა მათგანმა სხვა ერს ჩააყლაპვინა თავი; ვინც გადარჩა,
თანდათან აღმოსავლეთისკენ იწევდა, რადგანაც დასავლეთი-
დამ სხვა აწვებოდა; ამ გვარად ის ბინას იცვლიდა და როცა
იმ ალაგს დამკვიდრდა, სადაც დღეს არის, თავის ახალშენ
ქალაქებს, სოფლებს და მდინარეებს იგივე სახელები დაარქვა,
რაც ერქვა მის ქალაქსა და მდინარეებს ძველ ბინაზედ, ე. ი.
მცირე აზიაში. ეხლანდელს ისტორიაში ამის მაგალითი ძალიან
ბევრია. ეს გარემოება ძალიან წააგავს იმ გარემოებას, რომ
მამა შვილს ბაბუის ან პაპის სახელს არქმევს ხოლმე, რაც ყო-
ველ ერს ჩვეულებათა სჭირს. გარდა ამისა მცირე აზიის ძველ
მცხოვრებლებს და ქართველებს ერთნაირი საომარი იარაღი
ჰქონდათ, ერთნაირი რწმენა და ზნე-ჩვეულება. წმიდა ნინო
კაბადოკიელი იყო; მოვიდა თუ არა საქართველოში, ქადაგე-
ბა დაიწყო; უსათუოდ ქართულ ენაზედ ქადაგებდა, თვარა
უცხო ენაზედ ქადაგებით ის ვერაფერს გაარიგებდა; მაშ მას
კაბადოკიაშივე უნდა სცოდნოდა ქართული ენა, რადგანაც ეს
მისი მშობლური დედა-ენა იყო; მისი ნათესავი იყო წმიდა
გიორგი; ქართველი ხალხი არც ერთ წმინდანს არა სცემს იმ-
დენს პატივს, როგორც წმიდა გიორგის. უმეტესი წილი ეკ-
ლესიებისა საქართველოში თითქმის წმიდა გიორგის სახელ-
ზედ არის აშენებული. ამის ერთად-ერთი მიზეზი სწორედ ის
უნდა იყოს, როგორც პროფესორი ხახანაშვილი ბრძანებს,
რომ წმინდა გიორგი ქართველის სისხლ-ხორცი იყო, თვარა
ამ გვარ პატივში ქართველებს სხვა წმინდანიც ეყოლებოდათ.
ასურეთიდამ VI საუკუნეში ათორმეტი მამა მოვიდა საქარ-
თველოში; მათი ნაყოფიერი მოღვაწეობის მიზეზი ის იყო,
რომ ისინი იმ ენაზედ ჰქადაგებდნენ, რომელიც, როგორც
მათთვინ, ისე მსმენელთათვის მშობლური იყო, ჩვენ არავითა-
რი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, ვითომც ისინი მოსული-
ყვნენ საქართველოში, ქართული ენა შეესწავლოთ და თავის
საქმეს ისე შესდგომოდნენ. ან რად მოისწრაფოდნენ წმინდა
ნინო და ათორმეტი მამა საქართველოსაკენ? თუ მათი ერთად-
ერთი მიზანი ის იყო, რომ ქრისტეს სწავლა გაევრცელებიათ,
საქართველოში რომ არ წამოსულიყვნენ, ასპარეზი ახლოსაც
ვრცელი ჰქონდათ. მაგრამ სხვა ხალხი ისე ვერ იზიდავდა მათ,

როგორც ქართველები: მათ ქართველებისათვის უფრო შეს-
ტკიოდათ გული, რადგანაც ესენი მათი სისხლი და ხორცი
იყვნენ. ამიტომ გამოსწიეს საქართველოსკენ, თვარა ურწმუ-
ნო ხალხი მათ ახლოსაც ძალიან ბევრი იყო.

მუშკსა და ტაბალს ქვემოთ ცხოვრობდნენ ხიტები. მე-
თვრამეტე დინასტიის ბოლოს ხიტებმა დაარბიეს მცირე აზი-
ის შუაგული და თითქმის ეგეის ზღვის ნაპირებს მიატანეს.
ჰომიროსის დროის მწერლებსაც ბუნდათ ახსოვდათ, რომ ტროა-
დის დასაცველად ვიღაც კეტები მისულიყვნენ. ეს კეტები იგივე
ხიტები არიან. ისტორიულ ქრონიკების ნაცვლად ხიტებმა და-
გვიტოვეს თავისი ურიცხვი ბრძოლა-გამარჯვებისა და ლაშქრო-
ბის ნაშთები.

საცა-კი გაიმარჯვებდნენ, ყოველგან თავის ღმერთებისა
და მეფეების აღალმას აკეთებდნენ. ამ გვარის ნაშთებით სავ-
სეა ფრიგია, ლიდია, კაბბადოკია, ერთის სიტყვით, ყველა
ალაგი კილიკიის მთებიდამ მოკიდებული ეგეის ზღვის ნაპირე-
ბამდე. ზოგიერთი მეცნიერი, სხვათა შორის მასპერო, იმ აზ-
რის არიან, რომ ხიტები ქართველ მოდგმას ეკუთვნოდნენ.
მათი იეროგლიფური წარწერები ჯერ კარგათ არ არის გარ-
ჩეული. თუ ეს წარწერები კარგად გაირჩა და მათში ქართუ-
ლის ფორმები აღმოჩნდა, მაშინ ხომ ყოველ ეჭვს გარეშე იქ-
ნება, რომ ხიტები ქართველები იყვნენ. ხიტები ძალიან მძლავ-
რი ხალხი იყო; მცირე აზიაში მათ შექმნეს მჭიდრო სამეფო,
რომელიც ეგვიპტესა და ასურეთს მეტოქეობას უწევდა. ამ
ორ მძლავრ სამეფოსთან მას მრავალჯერ მოსვლია შეტაკება,
და უფრო მეტჯერ გაუმარჯვნია, ვიდრე დამარცხებულა. ხი-
ტებმა შექმნეს საკუთარი ცივილიზაცია, რომელიც ეგვიპტისა
და ასურეთის ცივილიზაციას არ ჩამოუვარდებოდა; მათის ცი-
ვილიზაციით მრავალი საუკუნის განმავლობაში სარგებლობდ-
ნენ მცირე აზიის პატარ-პატარა ერები. ხიტები ძალიან გაძ-
ლიერდნენ. ეგვიპტის ფარაონები მათ ყოველთვის ისეთ ხალ-
ხად თვლიდნენ, რომლებსაც მონობის მეტი სხვა არაფერი შე-
შვენით. ფარაონმა სეტიმ მათ წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ
მისმა სიმამაცემ აქ ვერა გააწყორა: რაც უნდა დამარცხებუ-
ლიყვნენ ხიტები, მაინც იმედს არაოდეს არ ჰკარგავდნენ და
ყოველთვის გულადად და თავ-განწირვით იბრძოდნენ. სეტი
იძულებული იყო, ხიტების მეფეს მორუსარს მოჰრიგებოდა და
ამ ქვეყნის დაპყრობაზედ ხელი აეღო.

ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, თუ რა მძლავრი მტე-
რი ნახა სეტიმ ხიტებში. ამ დრომდე ფარაონი აზრათაც არ

გაივლებდა, რომ მას ოდესმე „საზიზღარ ხიტებთან“ მშვიდობიანობის კავშირი შეეკრა. დღეს სეტის ყოველივე ცხადათ აუხდა. ამ შემთხვევამ, რასაკვირველია, ეგვიპტელებიც საშინლათ ააღელვა; ისინი აღარავითარ საშუალებას აღარ ზოგავდნენ, რომ როგორმე ხიტების სახელი შეელახათ და შეებღალათ. რამზეს II-დე ხიტები წყნარად იყვნენ. რამზეს II-ის მეფობის დროს ხიტებში საშინელი ამბოხება მოხდა. ხიტების მეფე, მორუსარის შვილი, მოტური მოკლეს და ტახტზედ მისი ძმა ხიტისარი ავიდა. უკანასკნელმა მოიხმო თავისი მოხარკენი და მოკავშირენი, დაარღვია ეგვიპტესთან მშვიდობიანობის ხელშეკრულობა და ომი გამოუცხადა. რამზეს მეორემ მყისვე შეაგროვა ურიცხვი ჯარი და სირიის ქალაქ შაბტუნთან დაბანაკდა. ხიტების მეფემ აქ ისე მოხერხებულად იმოქმედა, რომ რამზეს მეორეს მთელი ჯარი ამოუწყვიტა ღამე და კინაღამ თვით ფარაონიც ტყვედ არ შეიპყრო. ეგვიპტელები მხოლოდ რამზეს II-ის გასაოცარმა სიმხნემ და ვაჟკაცობამ იხსნა. ბრძოლა მოხდა, მაგრამ ხიტები დამარცხდნენ, თუმცა დიდი ზიანი არ მოსვლიათ. რამზესის გამარჯვება რომ სრული გამარჯვება არ იყო, ამას ის ამტკიცებს, რომ მან მაშინათვე ხიტების მეფეს მშვიდობიანობის ხელშეკრულობა მისცა; პირობა ვერცხლის ფიცარზედ დასწერეს ხიტების ენაზედ: ხიტების მეფე ფიცსა სდებდა, ფარაონს გაჭირვების დროს ჯარით მოშველებოდა, ეგვიპტის მტერი და მოყვარე თავის მტრად და მოყვარედ ეცნო, ეგვიპტის ვაჭრობა-მრეწველობისათვის თავის სახელმწიფოში არავითარი დაბრკოლება არ აღმოეჩინა და ხელი შეეწყო. ამ გვარსავე პირობას აძლევდა ხიტების მეფეს რამზეს II. რამზეს II-ეს რომ მართლა დაემარცხებია ხიტები, მაშინ ხიტებს თავის მეხარკეებათ გახდიდა და ამ გვარ პირობას სრულიათაც არ მისცემდა. ეს პირობა დღესაც დიპლომატიური მეცნიერების უძველეს ნაშთად ითვლება. ამის შემდეგ ხიტებსა და რამზეს II-ეს ერთმანეთში მეგობრული განწყობილება აღარ დაურღვევიათ, ერთმანერთს კიდეც დაემოყვრნენ: რამზეს II-ემ ხიტების მეფის უფროსი ქალი შეირთო და მალე თავისი სიმამრი ეგვიპტის დასათვალიერებლად გაიწვია. ხიტების მეფე ეგვიპტეს ესტუმრა; ამის სახსოვრად თებში დადგეს უშველებელი ძეგლი, რომელზედაც გამოქანდაკებული იყო რამზეს II თავისი მეუღლით და სიმამრით. ამ გვარად ხიტები ერთ დროს ეგვიპტის მოსისხლე მტრები იყვნენ, ეხლა-კი მათი საუკეთესო მეგობრები გახდნენ. სირიაში და მცირე აზიაში ხიტები დიდხანს ბრძანებლობდნენ, მაგრამ რამზეს III-ის დროს ისინი დაეცნენ, თავისუფლება და პოლიტიკური მნიშ-

ვნელობა ნელ-ნელა დაკარგეს. ასურეთის მეფის ტუგულტი-ფალესარრას დროს მათ მცირე ალაგი-ღა ეკავათ ეფრატსა და აპ-რიეს შუა, გარგამიშის გარშემო. 877 წელს ასურ ნაზირპალმა ხიტების სამეფო და მათი სატახტო ქალაქი სრულიად უბრძოლ-ველად აიღო. ამის შემდეგ ხიტები აღარ იხსენიებიან. ზოგი მათგანი ალბათ სხვა ერს ჩაეყლაპვინა და გადაგვარდა, სხვე-ბი-კი, უეჭველია, თავის მონათესავე მცირე აზიის ქართველებს შეუერთდნენ, მათი სახელი მიიღეს და თავისი კერძო წოდე-ბა-კი დაკარგეს.

ეხლა ისევ ასურეთს დავუბრუნდეთ. ასურეთი თანდათან ძლიერდებოდა, სხვა მცირე აზიის ერებს სჩაგრავდა და იმო-ნებდა. ტუგულტიფალესარრას შემდეგ ასურეთი ფინიკიასა და პალესტინას შეეტაკა. ფინიკია არის პატარა, ვიწრო ალაგი ხმელთა შუა ზღვის პირას. აღმოსავლეთით მას საზღვრავს ლი-ვანის მთა, დასავლეთით ხმელთა-შუა ზღვა. ფინიკიაში მიწა ძალიან ნოყიერი იყო, ამიტომ ეს კუთხე სხვა-და-სხვა მშვენი-ერი ხეხილ-მცენარეებით ერთობ მდიდარი იყო. ის შეადგენ-და ერთ სამეფოს, რომლის უმთავრესი ქალაქები სიდონი და ტირი იყო. პალესტინა ფინიკიაზედ კიდევ უფრო ვიწრო ალა-გია. აქ არის მდინარე იორდანე, სადაც იესო ქრისტემ იოა-ნესაგან ნათლის-ღება მიიღო; პალესტინის ჩრდილო ნაწილი, გალილია, მეტად შემკული იყო თავისი საუცხოვო ბუნებით.

უძველესი დროიდამ ფინიკია და პალესტინა კუშიტებს ეჭირათ. 2200 წელს (ქრისტეს წინეთ) მესოპოტამიიდამ მო-ვიდნენ სემიტები და კუშიტებს შეერივნენ. ამ ორი ხალხის შესევით წარმოსდგნენ ქანანელნი. პალესტინის მცხოვრებნი ხვნა-თესვითა და მწყემსობით ცხოვრებდნენ. ფინიკიელებიც საქონ-ლის მოშენებას, ხვნა-თესვასა და მებაღეობასაც მისდევდნენ, მაგრამ მათი უმთავრესი ხელობა, რაშიაც მათ დიდი ნიჭი გა-მოიჩინეს, ვაჭრობა იყო. ვაჭრობის გულისათვის ისინი ძალიან შორს მიდიოდნენ და მოგზაურობის დროს აქა-იქ ახალშენებს აარსებდნენ. ამ გვარის ახალშენებით მოცული იყო მთელი ხმელთა-შუა ზღვა იტალიამდე, კუნძულეთი (არხიპელაგი) და შავი ზღვა კოლხიდამდე. ისინი ისპანიამდეც-კი მიდიოდნენ, სადაც სხვათა შორის მათ დაარსეს გადესი. ამ გვარათვე აფ-რიკის ჩრდილო ნაპირზედ ფინიკიელებმა დაარსეს კართაგენი. ამ ქალაქის დაფუძნების შესახებ გარდმოცემა შემდეგს მოგვი-თხრობს: 880 წელს ტირში მეფე პიგმალიონის დროს ამბო-ხება მოხდა. მეფის და ელისსარი რამოდენიმე წარჩინებული გვარით ძმას წინააღუდგა, მაგრამ დამარცხდა და იძულებუ-

ლი იყო გაქცეულიყო აფრიკაში, სადაც თავის მომხრეებით მან ააშენა კართაგენი (ახალი ქალაქი). ამის შემდეგ ელისსარს უწოდეს დიდონა, ე. ი. გაქცეული.

კართაგენი მალე გამდიდრდა და თავის ვაჭრობით უპირველესი ალაგი დაიჭირა. კართაგენელების უმთავრესი ღმერთი იყო მოლოხი, რომელსაც მსხვერპლად ყმაწვილებს სწირავდნენ ხოლმე. კართაგენი წარმოადგენდა რესპუბლიკას, რომელსაც სენატი განაგებდა. სენატი შესდგებოდა სამასი მდიდრისაგან. მდიდრებს მიტომ ვამბობთ, რომ სამსახურისათვის იქ ჯამაგირს არ იძლეოდნენ, ამიტომ ყველა ადგილები მდიდრების ხელში იყო, რადგანაც ცხოვრების მხრივ ისინი უზრუნველ ყოფილნი იყვნენ და ჯამაგირში არ საჭიროებდნენ.

ფინიკიაში მრეწველობა ძალიან გავრცელებული იყო; აქ ქარხნები ძალიან ბევრი იყო; ქარხნებში მზადდებოდა მრავალ გვარი შესამოსელი, რკინის, სპილენძის, სპილოს ძვლის და მრავალი სხვა ნივთეულობა. ფინიკიელები ხმელეთით ვაჭრობდნენ ინდოეთთან, არაბეთთან, ბაბილონთან და საქართველოსთან, საიდამაც მათ ოქრო, ვერცხლი, კალა და ტყვია გამოჰქონდათ. ფინიკიელების ღმერთი იყო ბაალი და მილიტა. მათი სარწმუნოება თითქმის იგივე იყო, რაც ბაბილონელების, მხოლოდ ფინიკიაში ადგილობრივი ღმერთები უფრო ბევრი იყო: ტირის ბაალი სხვა იყო, სიდონის სხვა; სხვა ქალაქებსაც თავ-თავისი ღმერთები ჰყავდათ, მაგრამ ტირის ბაალს ყველაზედ მეტ პატივსა სცემდნენ, რადგანაც ის მამა ღმერთად ითვლებოდა. ფინიკიელებმა ანბანი ძალიან ადრე გამოიგონეს; სწავლა-განათლება აქ საკმაოდ გავრცელებული იყო. 1200 წელს სიდონი დაეცა და მის შემდეგ ტირი გაძლიერდა; ამ დროს ფინიკიელები თანდათან დაწინაურდნენ.

ასურეთიც ამ დროს ძალიან გაძლიერდა. ტუგულტიფალასარრას მოადგილეებმა თავისი სამეფო ძალიან დააწინაურეს და გაადიდეს; ასსურნაზირპალმა დაიპყრო სომხეთი და მის გარშემო მცხოვრები მრავალი ხალხი და დაადვა ხარკი მუშკებს, რომლების შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ასსურნაზირპალი საცა-კი დაიბადებოდა, ყველგან საშინელი სისასტიკისა და განადგურების კვალსა ტოვებდა. მის შემდეგ 860 წელს ასურეთში გამეფდა მისი შვილი სალმანასსარი III, რომელმაც მამასავით მთელი სიცოცხლე სისხლის ღვრაში გაატარა. რვა წლის მეფობის შემდეგ მან ბაბილონი აიღო, შემდეგ დაიპყრო ვანის მცხოვრებნი; აქედამ როგორც ის, ისე მისი მოადგილეები საქართველოს დაეცემოდნენ ხოლმე, მაგრამ როგორც ალაგის მდებარეობა, ისე ქართველების სიმამაცე მათ ხმალს

უჩლუნგებდა. სალმანასსარის შემდეგ ასურეთის შესანიშნავი
მეფე სარგონი იყო. მან ასურეთი უმძლავრეს სამეფოდ გადა-
აქცია, რომლის შიშითაც ყველა ძრწოდა. ასურეთს ამ დროს
თითქმის მთელი აღმოსავლეთი აზია ეჭირა; ეხლა სარგონმა
ფინიკიის, პალესტინისა და ეგვიპტის აღებაც დააპირა. ური-
ები და ეგვიპტელები სარგონმა მალე დაამარცხა და დაიმორ-
ჩილა, მაგრამ ფინიკიას-კი ვერა დააკლორა; ის მთელი ათი წე-
ლიწადი ცდილობდა, მაგრამ ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაუარა და
ტირი ვერ აიღო. 710 წელს ქ. შობამდე სარგონმა ბაბილო-
ნი აიღო და თავისი თავი ქალდეეთის მეფედ გამოაცხადა. ამის
შემდეგ სარგონმა მიმართა მთა-გორიან ქვეყანას – ურარტს, სა-
იდამაც ტიგროსი და ეფრატი გამოდიოდნენ. იქ ცხოვრობდა
ხალხი, რომელიც რაულინსონის აზრით ეხლანდელ სომხებს სრუ-
ლებით არა ჰგავდა. ლენორმანი თავის „Ieffres Assgriolódidues“-
ში ამტკიცებს, რომ ეს ხალხი ქართველები იყვნენო; სესი და
გიუიარიც ამ აზრის სრული მომხრენი არიან. ეს ხალხი იყო-
ფოდა წვრილ თემებად; მათში ყველაზედ უფრო ძლიერი და
შესანიშნავი იყო ბიენასი, სატახტო ქალაქი დუსპასით, რომ-
ლის ალაგასაც ეხლა ვანი არის. როცა ასურელებმა ეს მხარე
აიღეს, ბიენასი ბითვანად გადააკეთეს, აქედამ-კი, სესის გამოკვ-
ლევით, ვანი წარმოსდგა. ურარტის მცხოვრებლებს სწამდათ
მამა ღმერთი ხალდისი, ცისა და ჰაერის ღმერთი თვისბასი და
მზე არდინისი; გარდა ამისა მათ ორმოცამდე უმცროსი ღმერ-
თები ჰყავდათ. ვანის მეფეებმა მალე დაიმორჩილეს თავის გარ-
შემო მცხოვრები ხალხი და მძლავრი სამეფო შეადგინეს. უძ-
ველესი მეფე არამეოსი სალმანასსარ III-ის დროს იყო, მეცხ-
რე საუკუნის ნახევარში ქრ. შობამდე. მის შემდეგ მეორე
გვარეულობა გამეფდა. ამ დროს ურარტი ძალიან გაძლიერ-
და, მაგრამ ის ჯერ ტიგლატფალასარმა დაამარცხა და თავის
მოხარკედ გახადა, შემდეგ სარგონმა. სარგონის მეფობის ბო-
ლო ხანებში ურარტი ისევ გაძლიერდა; მისმა მეფემ არგის-
ტირმა სარგონის ჯარი დაამარცხა და არამც თუ თავის ძვე-
ლი ოლქები დაიბრუნა, არამედ თვით ასურეთს საკუთარი მანნა
წაართვა; ამის შემდეგ ისინი კიდევ უფრო გაძლიერდნენ; მა-
გრამ საკების (სკვითების) შემოსევის დროს სრულიათ დაეც-
ნენ. ზოგი მათგანი საკების მტარვალობამ იმსხვერპლა, სხვები
ალბათ მეზობელ ქართველებს შეუერთდნენ და თავისი კარძო
სახელი-კი დაკარგეს. ვანში სწავლა-განათლება ძალიან ადრე
გავრცელდა; მეცხრე საუკუნეში ერთმა ურარტის მეფემ ნინე-
ვიის მწიგნობარნი დაიბარა და ასურულ ენაზედ თავისი საბუ-
თები დააწერია; რამოდენიმე ხნის განმავლობაში ვანის მსწავ-

ლულები ასურულს ენაზედ სწერდნენ და ლაპარაკობდნენ; სარიდურისის შვილმა ისპუინისმა ასურული ლურსმებრივი წერა თავის ენას შეუფარდა და საკუთარი ანბანი გამოიგონა. იმ ალაგას, სადაც ურარტის ხალხი ცხოვრობდა, ჰეროდოტი შემდეგში ასახელებს ალარუდიელებს; რაულინსონის აზრით ალარუდი არარუდის უბრალო ვარიანტს წარმოადგენს (რ ლ-ათ დარბილდა.); არარუდს-კი საშუალო ალაგი უჭირავს არარატსა და ურარტის შუა; ამ გვარად ჰეროდოტის ალარუდი იგივე ურარტი არისო. ვანის გარშემო ეხლა იპოვეს ლურსმებრივი წარწერები, რომლებიც იმას ამტკიცებენ, რომ ურარტი ან ალარუდნი ქართველები იყვნენ. ზოგი მეცნიერი ხელმძღვანელობდა მით, რომ ალარუდთა ალაგას სომხები არიან ახლა, და ამტკიცებდა, რომ ეს წარწერები სომხურიაო, თუმცა არავითარი საბუთი არა ჰქონდათ. პატივცემული პროფესორი პატკანოვი ბრძანებს, რომ ვანის ლურსმულ წარწერებში არც ერთი სომხური ფორმა არ მოიპოებაო, და ამის შემდეგ თვითონვე ჯიუტად უმატებს – ვანის წარწერები მაინც სომხურია, ეხლანდელი სომხური-კი სულ სხვა არის, ვიდრე მაშინდელიო. პატივცემულ პროფესორს მხედველობაში არ მიუღია, ან მამულიშვილურის გრძნობით გატაცებისა გამო დაჰვიწყებია, რომ ენა თუმცა, რაც დრო მიდის, მართალია იცვლება, მაგრამ თავისი რამოდენიმე ძველი ფორმა ან სიტყვა ან სხვა რამე ნიშანი რომ არ შეირჩინოს, შეუძლებელია. ესეც არ იყოს, ეხლანდელ სომხეთში, სადაც ძველად ურარტი იყო, სომხები მხოლოდ მეშვიდე საუკუნიდამ იხსენიებიან ქრისტეს წინეთ, ალაროდნი-კი მეცხრე საუკუნეშიაც აქ განათლებულ ერს წარმოადგენდა. ფრანსუა ლენორმანმა და შემდეგ სხვა მეცნიერებმაც, როგორც უკვე მოვიხსენეთ, ფონეტიკურად და ლინგვისტიკურად დაამტკიცეს, რომ ეს ლურსმებრივი წარწერები ქართულია და ალარუდნიც ან ურარტიც ქართველები იყვნენ; ამას ჰმოწმობს ერთი და იგივე ნაცვალ-სახელები, როგორც ქართულში ისე ვანის წარწერებში, – დახვრა, მრავლობითი რიცხვი, კანკლედობა და სიტყვები *). მერე მაშინ თუ ქართველები იყვნენ, ეხლა ცოტა მაინც რატომ აღარ დარჩაო, შეიძლება თქვას ვინმემ. ამის პასუხად ჩვენ შემდეგს მოვახსენებთ: დღეს დამტკიცებულია, რომ სომხებმა აზიიდამ გადმოიარეს საქართველოს თავზედ, ჯერ დუნაის ნაპირებზედ გაჩერდნენ, შემდეგ ფრიგიაში გადმოვიდნენ; აქედამ თანდათან უახლოვდებოდნენ იმ ალაგს, სადაც მათ მეშვიდე საუკუნიდამ ვხედავთ. აქ მანამდე ქართველები ალარუდნი იყვნენ. სომხები მხოლოდ მეშვიდე საუკუნეში მოვიდნენ. ასურეთსა და ბა-

ბილონთან ბრძოლით და შემდეგ საკების შემოსევით ალარუდ-
ნი დასუსტდნენ და დაუძლურდნენ; ზოგი მათგანი გაწყდა,
ზოგი გადაგვარდა, ზოგიც სხვა ქართველებს მიეკედლა. სომ-
ხებმაც ამით ისარგებლეს და უპატრონო ალაგი თვითონ ჩაი-
გდეს ხელში. თვით ჰეროდოტიც ამბობს, სომხეთში ორი
ხალხი ცხოვრებს, რომლებსაც ერთმანეთში არავითარი ნათე-
საობრივი კავშირი არა აქვს, ალარუდნი და მატიენნიო; შე-
მდეგ ფრიგიის ახლოს ის სომხებს ასახელებს. სომხებს ჯერ

---

*) იხილეთ ხახანაშვილი: разселеніе грузинъ по Малой Азіи.

პატარა ალაგი ეჭირათ, მაგრამ ალარუდთა უბედურება მათთვის
ბედნიერება იყო, მათ რომ სახლი დაეწოდათ სომხები ზედ
ხელს ითბობდნენ და ამ გვარათ თანდათან ფართო ალაგი და-
იჭირეს. პატივცემულ პატკანოვს უნდა უსათუოთ დაგვარწმუ-
ნოს, რომ სომხების ქვეყანაში ძველი წარწერები აღმოჩნდა
და უთუოთ სომხური უნდა იყოსო, ის-კი ავიწყდება, რომ
მეშვიდე საუკუნემდე ეს ქვეყანა სრულებით ქართველებს ეკუ-
თვნოდა და არა სომხებს და ძველი წარწერებიც ქართველებ-
მა დატოვეს. ეს წარწერები დღეს საკმარისათ გარჩეულია და,
მათი დამტოვებელი რომ ქართველები იყვნენ, ამის უარყოფა
ეხლა სრული სისულელეა. ქართლის ცხოვრებაც-კი ამბობს,
თარგამოსის ნაშიერნი სომხეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ, რო-
ცა ძალიან გამრავლდნენ, ჩრდილოეთს გადმოსახლდნენო. მი-
ზეზი გამრავლება არ იყო მართლა: ქართველები ასურელებ-
თან, ბაბილონელებთან და მრავალ სხვა მტრებთან განუწყვე-
ტელ ბრძოლაში იყვნენ. ქართლის ცხოვრება იმასაც-კი მო-
გვითხრობს, ქართლოსმა ქართველები შეკრიბა და ქალდეეთის
მეფე ნებროთი დაამარცხა და მოჰკლაო. რაოდენათაც მართა-
ლია ეს ფაქტი, ამის გამოკვლევას ჩვენ ვერ შევუდგებით, მა-
გრამ აქედამ ის-კი აშკარაა, თუ რა დამოკიდებულება ჰქონ-
დათ ქართველებს ასურელ-ბაბილონელებთან. ალარუდიელებ-
თან ჯერ სალმანასარ II-ეს ჰქონდა შეტაკება, სალმანასარ
III-ეს ალარუდიელების დამორჩილება ძალიან უნდოდა და
ექვსჯერ გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. ამ მეფის შემდეგ ალა-
რუდიელებმა ასურეთს დიდი ზიანი მისცეს და ამიტომ ტიგ-
ლატფალასარ II მათ დასჯას ცდილობდა და მათ წინააღმდეგ
გაილაშქრა. საკების შემოსევის დროს ურარტის ძლიერი სა-
მეფო დაეცა; მოსხებმა და ტიბარენებმა პონტის ნაპირებისა-
კენ გაიწიეს და აქ კაბბადოკია დაარსეს. ასურელები და ურარ-
ტის ქართველები ეფრატის შემწეობით ერთმანეთრში ვაჭრო-

ბდნენ. ამის შესახებ ჩვენ ისტორიული საბუთებიცა გვაქვს; ქართველები ჰყიდდნენ მონებს და ლითონის ნივთეულობას; ქართველებს და ასურელებს ერთნაირი საწონი სისტემა ჰქონდათ. ყოველივე ეს ნათლათ ამტკიცებს, თუ რამდენად განვითარებული იყო ქართველებში ვაჭრობა-მრეწველობა. ამ გვარათ ქართველები უწინ დასავლეთით გალისის მდინარიდამ კიდევ კარგა შორს ცხოვრობდნენ; სამხრეთით მათი საზღვარი იყო ვანი, ჩრდილოეთით კავკასიის მთები; აღმოსავლეთის საზღვრის შესახებ ორგვარი აზრია: ზოგი ამბობს ქართველები დაღესტნამდე იყვნენო, ზოგი-კი გილანის (კასპიის) ზღვამდე მიდიოდნენო. სარგონის შემდეგ გამეფდა მისი შვილი სესსახერიბი. მის დროს სამეფოში თითქმის განუწყვეტელი ამბოხება იყო და მან მთელი თავისი სიცოცხლე დაპყრობილ ერების დამორჩილებას მოანდომა. 700 წელს სენნახერიბმა აიღო ფინიკიის ქალაქი ტირო; ამის შემდეგ ფინიკიაში ისევ ქალაქი სიდონი გაძლიერდა. 680 წელს სიდონმა სენნახერიბის შვილს ასსარდაგონს წინააღმდეგობა გაუწია და ამიტომ ასსარდაგონმა სიდონი აიღო და დააქცია. ამის შემდეგ პირველობა ისევ ტირს დაუბრუნდა. ამ გვარ მდგომარეობაში იყვნენ ფინიკიელები ბაბილონის მეფე – ნაბუქოდონოსორამდე, რომელმაც, იერუსალიმის დაქცევის შემდეგ, 574 წელს ტირი აიღო. 537 წელს-კი ფინიკიელები სპარსეთის მეფე კიროსმა დაიმორჩილა. იერუსალიმის და ფინიკიის დასუსტების დროს ასურეთი თანდათან ძლიერდებოდა. სენნახერიბის შვილის ასსურბანაბალის დროს ასურეთი უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. მას ეკუთვნოდა ეგვიპტე, არაბეთის ნაწილი, მცირე აზია, სირია და ქანაანი. სამეფოს გაძლიერებასთან მეფის უფლებამაც იმატა და ბოლოს მეფე სრული ბატონი გახდა, რომელიც თავის მოქმედებაში ანგარიშს არავის აძლევდა; მის სურვილზედ იყო დამოკიდებული მთელი სამეფოს ბედ-იღბალი. კანონებიც მეტათ სასტიკი იყო; მცირე დანაშაულისათვის ადამიანს ტყავს აძრობდნენ, სტანჯავდნენ, სარზედ აგებდნენ და სხვ. მოვალე თუ ვალს არ გადიხდიდა, ფულის პატრონის მონა ხდებოდა; ქალების მდგომარეობაც ცუდი იყო. ასურეთში უმთავრესი ღმერთები იყვნენ ასური და ნინი; ასურული ანბანი ლურსმებრივია. ასურბანაბალის სიკვდილის შემდეგ ასურეთი დაეცა. სამხრეთ რუსეთში იყვნენ სკვითები, რომლებიც დარიალის ხეობით აზიის ქვეყნებს ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე. ჯერ ისინი უფრო მცირე აზიას აოხრებდნენ. შემდეგ ნინევიასაც ეწვივნენ. ნინევიას ამ დროს გარს ერტყა მიდიის მეფის კიაქსარის ჯარი. სკვითებმა კიაქსარი დაამარცხეს და რვა

წლის განმავლობაში დაარბიეს ასურეთი, ბაბილონი, სირია, პალესტინა, ფინიკია; უკან დაბრუნებისას კიაქსარმა მათი ბელადები მიიპატიჟა და მოტყუილებით დახოცა; შემდეგ მათი ჯარი დაამარცხა. სკვითები, ვინც-კი გადარჩა, საქართველოსაკენ წავიდნენ. 625 წელს კიაქსარი შეუერთდა ქალდეეთის მმართველს ნაბუპალ ასურს და აიღო ნინევია, რომლის მეფემაც ასურბანაბალის შვილის-შვილმა ასურ ახეიდინ III-ემ, თავი დაიწვა, რომ მტერს ხელში ცოცხალი არ ჩავარდნოდა. ნინევიის დაცემის შემდეგ მალე ასურული ენაც დაიკარგა. ნინევიის ალაგას ორი სამეფო დაარსდა: მიდია და ბაბილონი; კიაქსარმა დაიტოვა ასურეთი, ნაბუპალასსურმა სირია და ქანაანი ბაბილონს შეუერთა. ასურეთის დაცემის შემდეგ ბაბილონი ისევ ამაღლდა. ძლევა-მოსილმა ნაბუქოდონოსორმა, ნაბუბანაპალის შვილმა, დაამარცხა ნეხო და აღმოსავლეთში უპირველესი მეფე გახდა; აგრეთვე დაამარცხა ურიები და ბაბილონში გადაასახლა, სადაც მათ სამოც-და-ათი წელი ტყვეობაში გაატარეს. როდესაც ათი წლის შემდეგ იერუსალიმის მეფემ, ზედეკიამ მას წინააღმდეგობა გაუწია, ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი აიღო, სოლომონის საყდარი დააქცია და ზედეკია დააბრმავა. ახალმა ქალდეეთმა თავისი კულტურით დიდი სახელი გაითქვა. ომების შემდეგ ნაბუქოდონოსორი ბაბილონის გამშვენიერებას შეუდგა. ასი წლის განმავლობაში ასურელები ბაბილონს მოსვენებას არ აძლევდნენ; სენნახერიბმა და ასსურბანაპალმა ბაბილონი ორჯელ ააოხრეს. ქალაქის აღდგენა და გამშვენიერება თავდაპირველად ნაბუპალასსურმა დაიწყო; ყველა სამუშაოს ის აკეთებინებდა სირიელებს, ურიებს, ეგვიპტელებსა და არაბებს, რომლებიც მას ომების დროს ტყვედ წამოეყვანა. ნაბუქოდონოსორმა ბაბილონი ისე გაალამაზა, რომ მთელს ქვეყნიერობაზედ მისთანა ქალაქი არ მოიპოებოდა. ეფრატზედ ააშენა მშვენიერი ხიდი, რომელსაც ღამღამეობით აიღემდნენ ხოლმე. შუა ქალაქში ამართა ვეებართელა კოშკი-ბელა, რომელზედაც ღმერთი ბელას აღალმა დაადგმევია; აღალმა ოქროსი იყო ჩამოსხმული; მშვენიერი სანახავი იყო მეფის სასახლეში ხელოვნურად გაკეთებული დაკიდებული ბაღები, სადაც ჰარამხანის ქალები ნახევრად უსამოსლოდ დასეირნობდნენ. გასაოცარი იყო აგრეთვე მეფის სასახლე, რომლის ნანგრევები დღემდის დარჩენილა. ნაბუქოდონოსორმა ააშენა და განაახლა მრავალი საყდრები; გაიყვანა არხები; მტრების შესაჩერებლად ააშენა უზარმაზარი მიდიის კედელი, რომელიც ტიგროსიდამ ეფრატამდე მიდიოდა. დაუღალავი ნაბუქოდონოსორი ბაბილონისათვის იგივე იყო, რაც რამზეს

II ეგვიპტისთვის. ნაბუქოდონოსორის დროს ქალდეეთი გა-
ძლიერდა, მაგრამ მისი ძლიერება ხანგრძლივი არ ყოფილა; ის
ნაბუქოდონოსორთან ერთად გაქრა, უძლიერეს მეფეს საფ-
ლავში თან ჩაჰყვა; ქალდეეთის დიდება და ძლიერება ნაბუ-
ქოდონოსორთან ერთათ დაიბადა და ერთათვე მოკვდა. ამ მე-
ფის გვარეულობის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო ნაბუ-
ნაგიდი, რომელიც 555 წელს ავიდა ტახტზედ. ის ერთობ
მშვიდი და წყნარი ხასიეთის იყო. ომი არ უყვარდა; მაგრამ
საუბედუროთ არც იმდენი ძალა ჰქონდა, რომ თავისი სამეფო
გარეშე მტრებისაგან დაეცვა. ის ძალიან მლოცველი კაცი
იყო; ქურუმად კარგი იქმებოდა, მეფის გვირგვინი-კი მისთვის
მძიმე იყო; სადაც-კი ნახავდა დანგრეულ საყდარს, უსათუოთ
განაახლებდა, ან ახალს ააშენებდა; ძველ დავიწყებულ სარ-
წმუნოებრივ წეს-ჩვეულებების აღდგენას ძალიან ცდილობდა;
როგორც თავის ღმერთებს, აგრეთვე სხვა სახელმწიფოების
ღმერთებსაც დიდ პატივსა სცემდა; ამით ბაბილონის ქურუმე-
ბი გადიმტერა. ქურუმებმა ხალხი ააჯანყეს და ამის გამო 538
წელს სპარსთა მეფე კიროსმა ბაბილონი ძალიან ადვილათ აი-
ღო. ნაბუნაგიდი კიროსს შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა; ნა-
ბუნაგიდის შვილი ვალტასარი ბაბილონის მიუვალ ციხეში გა-
მაგრდა. კიროსმა ბაბილონი ეშმაკობით აიღო. მან გაიყვანა
რამოდენიმე არხი და ეფრატის მდინარე იქით გადააგდო. ღა-
მე, როდესაც ბაბილონელები დიდ უქმეს დღესასწაულობდნენ,
კიროსი ეფრატის კალაპოტით ქალაქში შეიპარა. ვალტასარი
ბრძოლის დროს მოკვდა, მამა მისი-კი მტერს დანებდა, მაგრამ
რამოდენიმე დღის შემდეგ ჯავრით გარდაიცვალა. როგორც
ნამდვილ მეფეს შეეფერებოდა, ისე დაასაფლავეს. მის გარდა-
ცვალებას ქალაქი ერთი კვირე იგლოვდა; ამის შემდეგ კირო-
სის შვილმა კამბიზმა ადგილობრივ ღმერთებს მსხვერპლი შეს-
წირა და თვისი თავი ბაბილონის მეფედ გამოაცხადა. ბაბი-
ლონი კიროსმა თავის სატახტო ქალაქად გახადა, მაგრამ, რა-
დგანაც ბაბილონელები ხშირად აჯანყდებოდნენ ხოლმე, სპარ-
სელებმა ბაბილონის სიმაგრეები დააქციეს და საყდრები და-
ცარცვეს. როდესაც სელევკია დაარსდა, ბაბილონის აღებ-მი-
ცემობრივი მნიშვნელობა იქ გადვიდა, ხალხიც იქ გადასახლ-
და; ბაბილონი სრულებით დაეცა. ქრისტეს დაბადების დროს
ბაბილონი უდაბნოსღა წარმოადგენდა, როგორც ეხლა. ამ
გვარათ ახალმა ქალდეველებმა ასურეთის მონებიდამ მსოფლიო
მბრძანებლების ალაგი დაიჭირეს და შემდეგ ისევ სამუდამოთ
განქრნენ.

ისტორიულ სარბიელზედ სემიტები თითქმის 1500 წელს

(2000-538) მოქმედებდნენ. მათ დაუთმეს ალაგი არიელებს, რომლებსაც მათ შემდეგ ეკუთვნის ისტორია. მათგან ასურელები, ბაბილონელები და ფინიკიელები დედამიწის ზურგიდამ სრულიათ აღიგავნენ; ურიებიც, როგორც ცალკე ერი, გაქრნენ, მხოლოთ აქა-იქ აზიაში და ევროპაში თუ არიან გაფანტული.

ერთათ ერთი არაბები, რომლებსაც ძველ ისტორიაში არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდათ, გადარჩნენ და 600 წლიდამ ქრისტეს შემდეგ განითქვეს სახელი, მაგრამ მათი დიდება დღე-ნაკლული იყო. სემიტების უმთავრესი მნიშვნელობა სარწმუნოებრივ წარმატებაში მდგომარეობს; იდეალურ კულტურას სხვა მხრივ მათ უფრო ცოტა შესძინეს; მათ შორის შესანიშნავად არა ჰყვაოდა მეცნიერება, ხელოვნება, მწიგნობრობა; მათ ვერც მჭიდრო სამეფო შექმნეს; ცალკე ნაწილები მუდამ ერთმანერთს ეჩხუბებოდნენ და ერთმანერთის სისხლსა ღვრიდნენ, იმას-კი სრულებით არა ფიქრობდნენ, რომ ერთი-მეორისათვის ხელი-ხელს მიეცათ და მძლავრი სამეფო დაეარსებინათ. მხოლოთ ერთმა ასურეთმა შეიგნო, რომ ეროვნული სახის შესარჩენად და გასაძლიერებლად სამეფოს ჭეშმარიტ და მკვიდრ საფუძველზედ აგება იყო საჭირო, და კიდეც ცდილობდა ამ მიზნის განხორციელებას, მაგრამ ის მახვილითა და მტარვალობით ჰმოქმედებდა და ამით მძლავრი სამეფოს შექმნის მაგიერათ სემიტები სრულებით დაღუპა და არიელთა გაბატონებას ნიადაგი მოუმზადა. ამის გამო, როცა კიროსი გაძლიერდა, სემიტების სამფლობელონი ისე ადვილათ ჩაიგდო ხელში, თითქოს ოხრად დარჩენილი ყოფილიყონ. სემიტებში გულადობით და ვაჟკაცობით ყველას ასურელები სჯობდნენ; სამხრეთის სემიტები-კი უფრო მშვიდი და წყნარი ხასიათის იყვნენ; ისინი, როგორც ხვნა-თესვას, აგრეთვე ვაჭრობასა და მრეწველობასაც მისდევდნენ.

არიელები-ინდუსები.

არიელების მამათ მთავარი არის ნოეს შვილი იაფეტი. თეთრ-კანიან ხალხთა შორის არიელებს უპირველესი ალაგი უჭირავთ არა მარტო გარეგნობით, არამედ გონებითა და ნიჭითაც.

კუშიტები და სემიტები ზოგი დედამიწის ზურგიდამ სრულიათ აღიგავნენ; მცირეოდენმა ნაწილმა საარსო ბრძოლაში თავისი სახე შეირჩინა, მაგრამ ამ გვარ დარჩენას, რომ არ დარჩენილიყვნენ, ისა სჯობდა: წარმატების მხრივ ერთ წერტილ-

ზედ გაჩერდნენ, წინ მსვლელობა არც ეტყობათ და თითქოს არც სურვილი აქვთ. ამ გვარი ხალხი მუქთა-ხორია და დედამიწისთვის მეტ ბარგს შეადგენს.

არიელებმა-კი მდიდარი ცივილიზაცია შექმნეს, რომელიც შეუჩერებლად სულ წინ მიისწრაფვის; ამ ცივილიზაციას ჰქვია ევროპის ცივილიზაცია, რადგანაც ის უმთავრესათ დასავლეთ ევროპის არიელებმა აღმოაცენეს. არიელების წინაპრები პამირიდამ გამოვიდნენ; ჯერ დასახლდნენ არიანაში, შემდეგ ბაქტრია დაიჭირეს; აქ მათ არიელების, ე.ი. კეთილშობილების სახელი დაირქვეს. თავის ჩრდილო მეზობლებს თურანელებს, ე.ი. ქოჩათმავლებს ეძახდნენ. არიელები მისდევდნენ ხვნა-თესვასა და შინაური საქონლის მოშენებას; ბრინჯაოს ნივთების კეთებაც იცოდნენ. ქალებს ისინი დიდ პატივსა სცემდნენ და საზოგადოთ მათში ქალების მდგომარეობა ძალიან კარგი იყო. ოჯახში სრული სიყვარული, თანხმობა და უმფროს-უნცროსობა ჰსუფევდა. მათ სწამდათ ღმერთი მიფრა, რომელიც ოთხ ცხენიანი ეტლით ცაზედ მოგზაურობდა, აღმოსავლეთიდამ დასავლეთისკენ. დილაზედ მას კარებს უღებდა თავისი ბრწყინვალე ქალიშვილი უშასი (ალიონი), რომელიც დღე ცაში დაჰქროლავდა; მისი ძმები ასკინები-კი ღამით მოგზაურობდნენ და სიბნელეს აქრობდნენ; აგრეთვე დავრდომილთა და ზღვაზედ მოგზაურებს შველოდნენ და ჰფარველობდნენ.

მიფრას თანაშემწე იყო ინდრა, რომელიც ელვა-ქუხილით ყოველ მავნეს სდევნიდა. ყოველი ოჯახის უფროსი ამ ღმერთებს მსხვერპლსა სწირავდა ხოლმე. არიელთა გარდმოცემით ღმერთებმა ჯერ მთელი სამყარო შექმნეს, შემდეგ „გონიერი არსება“ – მანუ. ერთხელ მანუმ მდინარეზედ პირის ბანის დროს თევზი დაიჭირა; თევზმა სთხოვა, ოღონდ გამიშვი და წარღვნისაგან გადაგარჩენო; შენ მხოლოთ კიდობანი ააშენეო. მანუმ კიდობანი ააშენა; როდესაც წარღვნა მოვიდა, თევზი მაღლა ამოცურდა, მანუმ მას რქაზედ კიდობანი გამოაბა; თევზმა გასწია და ერთ დიდ მთასთან მიცურდა. მანუ კიდობანიდამ გამოვიდა, ღმერთს მსხვერპლი შესწირა, რომლის ალიდამაც მისი მეუღლე ილა გაჩნდა. მანუსა და ილასაგან არიელნი წარმოსდგნენ.

დროთა განმავლობაში არიელების სახელი შეირჩინეს მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილის მცხოვრებლებმა, დასავლეთ ნაწილის მცხოვრებლებს-კი იავანელები ეწოდათ.

3000-2500 წლებში, ქრ. დაბადებამდე, არიელები ძალიან გამრავლდნენ, ბაქტრიანაში ვეღარ დაეტივნენ, ჩრდილო-აღმოსავლეთიდამაც ველური თურანელები მოსვენებას არ

აძლევდნენ და ამიტომ დასავლეთისკენ იწყეს გარდასახლება. ჯერ
დაიჭირეს შავი ზღვის სამხრე და დასავლეთის ნაპირები, ფრი-
გია და ფრაკია. მათ ნაწილს შეადგენენ პელაზგები, რომლებ-
მაც ჯერ დაიკავეს მცირე აზიის დასავლეთი-სამხრეთი და შე-
მდეგ არხიპელაგი, საბერძნეთი და იტალია; მათ მოჰყვნენ კელ-
ტები და ჰერმანელები, რომლებიც ევროპის დასავლეთ ნა-
წილში და შუაგულში დასახლდნენ; შემდეგ გადმოვიდნენ
სლავიანები და ლიტვინები, რომლებიც ევროპის ჩრდილო-
აღმოსავლეთში დაბინადრდნენ.

არიელების გარდმოცემით მათ ჰყავდათ ღვთისგან დანი-
შნული მეფე ჯემშიდი, რომლის დროსაც სამოთხე იყო; დიდ-
გულობისა და ამპარტავნობისათვის მას ღმერთები გაურისხდენ
და სამთავიანი ვეშაპი მოუსიეს; ვეშაპმა ჯემშიდი მოჰკლა და
არიელებს ტანჯვაწვალება დაუწყო. ამ ვეშაპის მოკვლას და
არიელების განთავისუფლებას ბევრი გმირი ცდილობდა, მაგ-
რამ მათი ყოველი მეცადინეობა ამაო იყო; თვით გამოჩენილ-
მა გმირმა როსტომმაც-კი ვერ მოკლა ვეშაპი და ვერ დაიხსნა
არიელები. 2500 წელს არიელების გამოსახსნელად წინასწარ-
მეტყველი ზოროასტრი მოვიდა; ეს იყო მეფის შვილი; რო-
დესაც მას ოც-და-ათი წელი შეუსრულდა, გარდმოცემით, მი-
იხმო ორმუზდმა, გაატარა ცეცხლის მთაში, გაუღო გული, გა-
მდნარი ოქრო ჩაასხა, შემდეგ მისცა წიგნი ზენდ-ავესტა, ე.ი.
ახალი სარწმუნოება და გამოისტუმრა. ზოროასტრი ბაქტრიის
მეფესთან მოვიდა და სასწაულთ-მოქმედებითა და მჭევრ-მეტ-
ყველებით სამოც მოგვს აჯობა; ამის შემდეგ მეფემ და მისი
ქვეშევრდომების უმეტესმა ნაწილმა ახალი სარწმუნოება მი-
იღო. ზოროასტრმა დიდხანს იცოცხლა; მას ყველა დიდ პა-
ტივსა სცემდა; ის თურანელებთან ბრძოლის დროს დაიღუპა.
ჩვენამდე მოაღწია ზენდ-ავესტის ერთმა ნაწილმა მაზდეიზმმა
(საზოგადო სიბრძნემ), რომელშიაც შემდეგსა ვკითხულობთ:
„ყოვლად შემძლებელმა, წმიდა და უბრძნესმა ღმერთმა, მოწ-
ყალე ორმუზდმა, თავისი სიტყვის შემწეობით ქვეყანა გააჩი-
ნა... უკანასკნელ დღეს მან შექმნა კაცი და სხვ.“ როგორც
ამ წიგნში სწერია, ორმუზდს მისგანვე გაჩენილი კეთილი ფრა-
ვანები შველიან; ყოველ ადამიანს თავისი მფარველი ჰყავს. ადა-
მიანთან ერთათ ქვეყნიერობაზედ გაჩნდა ბოროტი სული –
არიმანი, რომელიც კაცობრიობას სამოთხეში გველის მზგავსათ
მოევლინა და უთხრა – ყოველისფერი მე გავაჩინე და ორმუზდს
არაფერი არ გაუჩენიაო. კაცობრიობამაც დაუჯერა და ამ გვა-
რათ ბოროტი გახდა; ორმუზდმა კაცობრიობის დასასჯელად
წარღვნა მოიყვანა. „მაგრამ არიმანიც დაიღუპება; მოვლიან

სამი წინასწარმეტყველი, სამი ახალი წიგნით, არიმანს მოჰკ-
ლამენ და მასთან ქვეყნიერებაზედ ბოროტებას, წყვდიადს და
სიკვდილს მოსპობენ“.

ძველი ბაქტრიის არიელებში ზოგი ისევ ძველ სარწმუ-
ნოებას აღიარებდა, ზოგმა, როგორც უკვე მოვიხსენეთ, ზო-
როასტრის სარწმუნოება მიიღო. ამ ორ ნაწილ შუა განხეთ-
ქილება მოხდა, რამაც ახალი გარდასახლება გამოიწვია. არი-
ელთა ერთი ნაწილი, რომელიც ძველ სარწმუნოებას მისდევ-
და, პენჯაბში *) გარდასახლდა; ამათ ეწოდათ ინდუსები; დანარ-
ჩენებმა, ზოროასტრის მაღიარებლებმა, ირანი დაიჭირეს. აქ
მათგან წარმოსდგნენ მიდიელები და სპარსელები.

ინდუსები ჯერ დასახლდნენ მდინარე ინდოსის გარშემო,
სადაც მათ მთელი 1000 წელი დაჰყვეს. აქ მათ შექმნეს თავი-
სი დაბადება ვედები, რომელიც ოთხ წიგნს შეიცავდა; უძვე-
ლესი მათგანი არის რიგ-ვედა, რომელშიაც გალექსილი ლოც-
ვები იყო მოთავსებული. 800 წელს ქრისტეს დაბადებამდე
ინდუსებმა შემოიღეს ანბანი; მაშინ მათმა ქურუმებმა რიგ-ვედა
ჩაწერეს და კიდევ სამი სხვა წიგნი მიუმატეს. ძველი ინდუსე-
ბის ენა იყო სანსკრიტული, რომლიდამაც წარმოსდგა ყველა
ინდოევროპიული ენა. თვით სანსკრიტული ენა-კი ქრისტეს
დაბადებამდევე გაქრა. ვედები წარმოადგენს ერთათ-ერთ წყა-
როს, რომლის შემწეობითაც ჩვენ შეგვიძლია არიელების ათა-

---

*) ინდოეთში.

სი წლის ისტორიის აღდგენა, ე.ი. იმ ხანის, როდესაც ისი-
ნი ინდოსის გარშემო ცხოვრებდნენ, 2500-1500 წლამდე.
ამიტომ ამ ხანას მეისტორიენი ვედის ხანას უწოდებენ.

ბაქტრიიდამ არიელებმა თავისი ძველი სარწმუნოება ახალ-
ბინაზედ, ინდოეთში, უცვლელად გადიტანეს, მხოლოთ წვრილ-
მანები მიუმატეს. მათ ბევრი ღმერთი სწამდათ, მაგრამ ყველა-
ზედ მეტ პატივს ინდრას სცემდნენ. ინდრა ჭექა-ქუხილით ეტ-
ლით გამობრძანდებოდა ხოლმე გველთან საბრძოლველად,
რომელმაც მას მაწველი ძროხები *) მოსტაცა და მიუვალ გა-
მოქვაბულში დაამწყვდია. აგნის შემწეობით ინდრა ძროხებს
მიაგნებს, გველს დაამარცხებს, ძროხებს გაანთავისუფლებს და
წვიმას გამოგზავნის. საიქიოს ცოდვა-მადლის აწონ-დაწონის
შესახებ მათ არა იცოდნენ-რა. მიცვალებულის სული ცოდვა-
მადლის გაურჩევლად აგნის სამოთხეში მიჰყავდა; სამოთხეს
ორი დიდი ძაღლი ჰყარაულობდა. აქ სული დიდ ნეტარებაში
ცხოვრებდა; მას აქ იგივე მოთხოვნილება ჰქონდა, რაც ქვე-

ყნიერობაზედ ხორც-შესხმულ ადამიანს. ინდოსტანის არიე-
ლებს ჰყავდათ მეფსალმუნენი, რომლებიც ღმერთებს მსხვერპლ-
სა სწირავდნენ და ბრძოლის დროს მეომრებს ამხნევებდნენ.
ხალხის უფროსებად იყვნენ რაჯები, რომლებსაც ოჯახის უფ-
როსები ამოირჩევდნენ ხოლმე. ხალხი ყველაზედ უფრო ხვნა-
თესვას და მებაღეობას მისდევდა. ვაჭრობას არიელები ერთობ
ცუდის თვალით უყურებდნენ და ვაჭრები ძალიანა სძულდათ.
აქედამ მკითხველი ადვილათ მიხვდება, რომ მათში ვაჭრობა
არ იყო გავრცელებული. არიელებმა მალე გამოიგონეს და
შემოიღეს რკინის იარაღი და ოქროს სამკაულები. ქალების
მდგომარეობა ძალიან კარგი იყო. მათ იგივე უფლება ჰქონ-

---

*) ე. ი. ღრუბლები.

დათ, რაც მამაკაცებსაც, მთელი ოჯახის საქმე მათ ხელში
იყო.

ინდოეთის არიელები ძალიან მომთმენი, გულ-კეთილი და
სტუმრის მოყვარული იყვნენ; მათში მკითხაობა ძალიან გა-
ვრცელებული იყო. როცა ინდუსები ძალიან გამრავლდნენ,
პენჯაბში ვეღარ დაეტივნენ; ერთმანეთში უთანხმოება და შე-
ტაკებაც მოუხდათ, ამიტომ მათმა რამოდენიმე ნაწილმა აღ-
მოსავლეთისკენ გაიწია. როცა ინდუსებმა მდ. განგის ჭალა
დაიჭირეს, უთანხმოება უმაღლეს წერტილს მიაღწია; დედო-
ფალ საყუნტალას ჩამომავლობაში ასტყდა საშინელი ბრძოლა,
რომელიც აღწერილია პოემა „მაჰაბგარატა“-ში. პოემის გმირი
მეფე კრიშნაა, რომელიც ყოველ გვარ ხიფათს გადურჩა და
ყველა ბოროტი სული დაამარცხა, მაგრამ ერთ დღეს, როცა
მას ხის ძირას ეძინა, მონადირეს შველი ეგონა და მოჰკლა.
როცა ინდუსებში მშვიდობიანობა დამყარდა, მათ მთელი ინ-
დოეთი დაიპყრეს. ეს აღწერილია მეორე პოემა „რამაიანა“-
ში. ეს უკანასკნელი პოემა უფრო სრულია და დიდი მნი-
შვნელობა აქვს, როგორც ხელოვნურ ლიტერატურულ ნა-
წარმოებს. ინდუსის ოცნებას აქ საზღვარი არა აქვს; პოემის
გმირი არის რამა; ანჩხლმა დედინაცვალმა ის სახლიდამ გააგ-
დო; ის ტყეებში და უდაბნოში დადიოდა; აქ დაუმეგობრდა ძე-
რას, მაიმუნებისა და დათვების სამეფოს; დაამარცხა და დახო-
ცა მრავლისაგან უმრავლესი ბოროტი სული, დევები, ქაჯები
და შემდეგ ყველა თავისი დახოცილი მეომრები გააცოცხლა.
გმირულ ხანაში ინდუსების ცხოვრებას უფრო სხვა ელფერი
სდევს, ვიდრე ველის ხანაში. ხშირი ბრძოლების გამო რაჯე-
ბი გაძლიერდნენ და მთელი უფლება თავის ხელში ჩაიგდეს;

მათ შემდეგ მეომრები გაბატონდნენ, ქშატრიების მჭიდრო წრე შეადგინეს და ხალხი დაიმონავეს. შემდეგ ვაჭრობამ თანდათან ფეხი მოიკიდა და მალე სიმდიდრემ რამოდენიმე კერძო პირის ხელში მოიყარა თავი. გმირულ ეპოქის შემდეგ ხალხი დამშვიდდა, ერთ ალაგს დაბინადრდა. რამოდენიმე დიდი სამეფო დაარსდა; აშენდა დიდი ქალაქები; ვაჭრობა და მრეწველობა გავრცელდა. ხალხის მთელი გონება სარწმუნოებამ დაიმონავა და ამიტომ პირველი ალაგი სასულიერო პირებმა ბრამინებმა დაიჭირეს. ბრამინებს ხალხში დიდი გავლენა ჰქონდათ. მათი წრე ხალხს თანდათან უფრო შეუყვარდა და მდიდარი ქშატრიების წინააღმდეგ-კი სიძულვილით აღიჭურვა. სიძულვილმა იქამდე მიაღწია, რომ მდაბიო ხალხი ბრამინების წაქეზებით და მეთაურობით აჯანყდა და ქშატრიები დაამარცხა; აქედამ იწყება ინდუსების ისტორიაში ბრამინების ხანა 1000-600 წლამდე.

ბრამინები ყველაზედ განათლებული და განვითარებული ხალხი იყო ინდუსებში. თავის უფლების გასაძლიერებლად მათ ახალი სარწმუნოება შექმნეს. მათის სწავლით მთელი სამყარო წარმოადგენდა ერთ ღმერთს – ბრამას, რომლიდამაც წარმოსდგა ქვეყნიერობა და პირველი კაცი მანუ. ადამიანის სული, კაცის სიკვდილის შემდეგ, უნდა განიწმინდოს: ცოდვილი ჯოჯოხეთში იტანჯება, შემდეგ პირუტყვების ტანში გადასახლდება. საიქიოს ყველაზედ ცხელი დღე მას ადგა, ვინც ბრამინებს არ ემორჩილებოდა: ღორად, ძაღლად, ვირად და სხვა უწმინდურ პირუტყვად იქცეოდა. ამ ტანჯვა-წვალების შემდეგ სული ბრამას შეუერთდებოდა. რადგანაც მთელი სამყარო ერთ ბრამას წარმოადგენდა, ამიტომ ყოველივე მასში მომხდარი ცვლილება ღვთის საწინააღმდეგო იყო; ამის გამო ბრამინებმა ხალხი თოხუმებად (კასტად) დაჰყვეს. ერთი თოხუმიდამ მეორეში გადასვლა შეუძლებელი იყო *). პირველ თოხუმს შე-

---

*) მამა თუ მიწის მუშა იყო, შვილიც უთუოთ მიწის მუშა უნდა ყოფილიყო და სხვ.

ადგენდნენ ბრამინები, რადგანაც ისინი ბრამას ბაგეთაგან წარმოსდგნენ, მეორეს ქშატრიები, რომლებიც ბრამას ხელებიდამ წარმოსდგნენ, მესამეს ვაისები, რომელსაც მიწის მუშა და ვაჭრები შეადგენდნენ; ესენი ბრამას გვერდებიდამ გაჩნდნენ; მეოთხე თოხუმს ეკუთვნოდნენ სუდრები (ე.ი. ღარიბები და დღიური მუშები), რომლებიც ბრამას ფეხებიდამ წარმოსდგნენ.

პირველი სამი თოხუმის წევრები ჩამომავლობით ნამდვი-

ლი არიელები იყვნენ; მეოთხეს-კი არიელების და მკვიდრი
მცხოვრებლების ჩამომავლობა შეადგენდა. ხალხის სრულ და-
სამორჩილებლად ბრამინებმა „მანუს კანონები“ შეადგინეს, ვი-
თომც ეს კანონები პირველი კაცისათვის თვით ღმერთს მიე-
ცეს. ამ კანონების ძალით რაჯი სრული ბატონია; მისი უფ-
როსი არავინ არ არის გარდა ბრამინების, რომლებსაც ის უნ-
და ემორჩილებოდეს. ხალხიც რაჯების სრული მორჩილი უნ-
და ყოფილიყო; ბრამინებმა თავის თავიც მეტად მკაცრ კანო-
ნებს დაუმორჩილეს; ოც-და-თუთხმეტ წლამდე ყოველ მათგანს
ვედები და საჭირო წეს-რიგები უნდა ესწავლა. სიბერეში მეუ-
დაბნოე უნდა გამხდარიყო; უნდა წაეღო წმინა ცეცხლი, წა-
სულიყო უდაბურ ტყეში და იქ სიკვდილამდე ტყის ნაყოფით
უნდა ერჩინა თავი. როგორც მოვიხსენეთ, ბრამინები ყველა-
ზედ უფროსი იყვნენ, მაგრამ ქშატრიებსაც დიდი უფლება
ჰქონდათ; ისინი დაბალი ხალხის ნაოფლარითა რჩებოდნენ,
თვითონ-კი თავის სიცოცხლეს ნადირობასა და ქეიფში ატა-
რებდნენ.

ვაისები თავისუფალ წოდებას შეადგენდნენ; ისინი მიწას
მუშაობდნენ, ვაჭრობდნენ და, რასაც შეიძენდნენ, მათი სრუ-
ლი საკუთრება იყო. სუდრების მდგომარეობა მეტის-მეტათ
აუტანელი იყო. ყველა მათი ბატონი იყო, ყველას შეეძლო
მათთვის ყველაფერი წაერთმია და ვირივით ემუშავებია, რამ-
დენ ხანსაც ენებებოდა. ამიტომ ისინი ვერაფერ ქონებას ვერ
იძენდნენ, ან-კი რისთვის შეიძენდნენ, როცა კანონის ძალით
სხვა წაართმევდა. სუდრი ყველას მონა იყო, ყველა მათ ჩაგ-
რავდა, დიდიც და პატარაც, მხოლოთ ერთი სიკვდილი იხს-
ნიდა მას. ბრამინისათვის რომ ერთი უზრდელი სიტყვა ეთქ-
ვა, მაშინათვე ენას მოსჭრიდნენ, პირში და ყურებში ადუღე-
ბულ ქონს ჩაასხამდნენ. ყოველივე ეს, რასაკვირველია, საზა-
რელია, მაგრამ, თუ ეხლანდელ სახელმწიფოებს თვალს გადა-
ვავლებთ და კარგათ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ამ მხრივ
ბევრი მათგანი ველურობიდამ სრულებითაც არ გამოსულა;
ზოგიერთ მათგანში უარესი სისაძაგლეც ხდება, ვიდრე ძველ
ინდოეთში, თუმცა მათ შუა თითქმის ოც-და-ხუთი საუკუნე
ძევს; მხოლოთ ძველ ინდოეთში ყოველივე აშკარათ ხდებო-
და, ეხლა-კი ქურდულათ, რაც უარესი სისაძაგლეა. სუდრებს
არც ვედებისა და მანუს კანონების წაკითხვის ნება ჰქონდათ.
თავდაპირველ ინდოეთის მცხოვრებლების ნამდვილ ჩამომავლო-
ბას ერქვა პარიები; მათი მდგომარეობა კიდევ უარესი იყო.
ისინი ტყეებში და მინდვრებში ეყარნენ უსახლ-კაროთ, მხე-
ცებივით; როცა სოფელში შამოვიდოდნენ, მოვალენი იყვნენ,

სახლის კარებზედ დაეკაკუნებიათ და ამით შეუტყობინებიათ
თავისი მოსვლა; მათ სახლში არავინ უშვებდა და ყველა ერი-
დებოდა. მათი ერთათ-ერთი ხელობა იყო მიცვალებულთა და-
საფლავება და ჯალათობა. ინდუსები მათ ძირს გადმოუყრიდ-
ნენ ხოლმე საჭმელს, როგორც ძაღლებს, და თან დაუმატებ-
დნენ – ძაღლების, პარიებისა და ყვავების კერძიაო; პარიებიც
ამით იკვებებოდნენ. მათი ნაშიერი არიან ციგნები. ინდუსებში
ქალის მდგომარეობაც გლახა იყო. მამას თავის ქალიშვილის
მოკვლის უფლება ჰქონდა; რვა წლის ქალს საქრმოს მიჰყიდ-
დნენ ხოლმე. ქმარს ნება ჰქონდა, სულ უბრალო მიზეზისა
გამო ცოლი გაეგდო. ერთსა და იმავე დანაშაულისათვის ქმა-
რი ჯარიმას იხდიდა, ცოლი-კი სიკვდილით უნდა დასჯილი-
ყო. ქვრივს გათხოვების ნება არა ჰქონდა, რადგანაც ქმარს
ეკუთვნოდა, უკანასკნელის სიკვდილის შემდეგაც. აქედამ ის
ჩვეულება წარმოსდგა, რომ ქვრივი ქალები თავის ქმრის გვამ-
თან ერთად დაიწვამდნენ ხოლმე თავის თავს. უბრალო ხალხს
ბრამის სწავლისა არა გაეგებოდა-რა და ამიტომ მისმა ოცნებამ
თავისი საკუთარი ღმერთები შექმნა: ვიშნუ – სიცოცხლისა და
ყოველივე სიკეთის მომნიჭებელი ღმერთი; დიდ კბილება და
სამთავიანი ღმერთი, სულთამხუთავი სივა; ბრამინებმა ხალხი-
საგან გამოგონილი ღმერთები თავის ღმერთს შეუერთეს და ამ
გვარად წარმოსდგა ინდოეთის სამება-ტრიმურტი: ბრამა – სამყა-
როს გამჩენი ღმერთი, ვიშნუ – სამყაროს მფარველი და სივა –
ქვეყნიერობის მტერი.

600 წელს ქრისტეს წინეთ ინდოეთის ერთ პატარა სა-
ხელმწიფოში დაიბადა ბუდდა. ის იყო მეფის შვილი; პატარაო-
ბიდანვე მან გასაოცარი ნიჭი გამოიჩინა; ბრამინების სწავლა
და მეცნიერება ერთობ მალე შეისწავლა, სიბავშიდამვე მას ძა-
ლიან უყვარდა განცალკევება, გათავისწინება და ფიქრი. მას
მალე შერთეს ცოლი და ყოველ გვარ ღონის-ძიებას ხმარობდ-
ნენ მის გასამხიარულებლად, რადგანაც ხალხის ტანჯვა-წვალება
მას გულს უთუთქავდა. ბოლოს მან გარდასწყვიტა ცოდვილი
ქვეყანა დაეტოვებია და მეუდაბნოე გამხდარიყო. ჩუმათ დაუ-
ტევა დედ-მამა, ცოლ-შვილი, შეიმოსა ძონძებით და გასწია
ყველაზედ უფრო მსწავლულ ბრამინებთან. კაცთ-მოყვარე ბუდ-
და მათმა მეცნიერებამ ვერ დააკმაყოფილა. მან მიაშურა უდა-
ბნოს, სადაც მთელი ორი წელი ლეღვის ხის ქვეშ გაატარა.
ამის შემდეგ მან თავის თავს ბუდდა, ე.ი. განათლებული უწო-
და. ოც-და-თუთხმეტი წლის იყო ბუდდა, როცა მან ქადაგება
დაიწყო. ორმოცი წელი ის მდინარე განგის ნაპირებზედ და-
დიოდა მათხოვრის ტანისამოსში და მკაფიო, ადვილად გასა-

გები ენით და იგავებით „თავისუფლება“-ს ჰქადაგებ-
და. მას აუარებელი მსმენელი ჰყავდა; მეტადრე ქალები, სუ-
დრები, პარიები, ვაისები – სულ თან დასდევდნენ. ბუდდას მი-
ემხრნენ მეფეები და ქშატრიებიც, რომლებსაც ბრამინები არ
უყვარდათ.

ერთმა წარჩინებულმა პირმა მთელი თავისი საცხოვრებელი ღა-
რიბებს დაურიგა და ააშენა სადგომი, სადაც ბუდდა უამიდობის
დროს ჰქადაგებდა ხოლმე. ბუდდას სარწმუნოება ბევრმა მიიღო
და ბევრმა შეიყვარა ის, რადგანაც ბუდდა მოყვასისადმი სიყ-
ვარულს ჰქადაგებდა; ყველა თანასწორიაო, ამბობდა ბუდდა. ამი-
ტომ მოყვასნი თქვენნი ძმასავით უნდა შეიყვაროთ, თავი მათთვის
უნდა გასწიროთო; ყველა უნდა გებრალებოდეს, პირუტყვებიც-კი,
რადგანაც „ქვეყანა მჭმუნვარებით აღსავსეაო“.

„შენი სიყვარული და ვნებათა-ღელვა უნდა შეაბორკილო, მტერს
ყოველისფერი მიუტეო, ცოდვები არ დამალო და მოინანიო ხოლ-
მეო“.

ბუდდას სარწმუნოებას ხალხი რამოდენიმე საუკუნეს გან-
მავლობაში შეუცვლელად აღიარებდა. 250 წელს მეფე ასო-
კამ ეს სარწმუნოება სახელმწიფო სარწმუნოებად გახადა და
მის გავრცელებისათვის ძალიან ზრუნავდა. მან სიკვდილით სა-
სჯელი გააუქმა, დავრდომილთათვის ურიცხვი თავშესაფარი ააშენა,
გზებზედ ხეები დარგო, ჭები ამოიყვანა, სკამები და საჩრდილობ-
ლები გააკეთა; მისი მეუღლეც დიდათ გულ-კეთილი და მოწყალე
იყო. ბუდდას სარწმუნოება ძალიან გავრცელდა, მაგრამ ის სა-
სულიერო პირებმა მალე დაამახინჯეს: ბუდდა მათ ღმერთად გარ-
დააქციეს და მეხუთე ცაზედ დაასკუპეს, გვერდით ურიცხვი
უმცროსი ღმერთები მოუჯინეს; ქვესკნელში თექვსმეტი ჯო-
ჯოხეთი გააჩინეს. ამით ბრამინებმა ისარგებლეს; ხალხს ჩააგო-
ნეს, ბუდდას მიმდევარნი ურწმუნონი არიანო, და რაჯებს-კი
– მეამბოხენიო; ამის გამო ბუდდას მიმდევართა წინააღმდეგ
საშინელი დევნა ასტყდა და ინდოეთიდამ ბუდდას სარწმუნოე-
ბა სრულიად განიძევა. ეხლა ეს სარწმუნოება არის ტიბეტ-
ში, სადაც მათი უმაღლესი სასულიერო პირი დალაილამა ცხოვ-
რებს, მონღოლეთში, ჩინეთში და ჟაპონეთში.

ინდოეთის მდიდარი ცივილიზაცია ბრამინებმა შექმნეს.
ინდოეთში შესანიშნავ ნაშთს შეადგენენ გამოქვაბული საყდ-
რები და მთელი ქალაქები. ინდოეთში ანბანი 800 წელს გა-
მოიგონეს. ინდოეთის პოეზია უმთავრესად ლირიკას, ეპოსს
და დრამას წარმოადგენს; შესანიშნავია ინდოეთის იგავ-არაკე-
ბი და ზღაპრები. ინდუსებმა ფილოსოფიით და ლინგვისტი-
კით გაითქვეს სახელი; მათ გამოიკვლიეს სიტყვების ძირი და

ყველა ძველი ფილოსოფიის წესი შექმნეს. მათ აგრეთვე გამოიგონეს არაბული სათვალავი ასოები, რომლებსაც ეხლა ყველა ხალხი ხმარობს, ალგებრა და გეომეტრია.

მიდია და სპარსეთი.

ინდუსების ნათესავებმა ირანი დაიპყრეს და აქ რამოდენიმე სახელმწიფო დაარსეს; მათ შორის თავდაპირველათ ყველაზედ უფრო ძლიერი და შესანიშნავი მიდიის სამეფო იყო, ასურეთისა და ბაბილონის საზღვარზედ. მიდიის არიელები და თურანელები ერთმანერთს მტრულის თვალით უყურებდნენ და ერთმანერთში სულ განუწყვეტელი ჩხუბი და სისხლის ღვრა ჰქონდათ.

ომიანობის დროს ისინი ერთმანერთს დაუახლოვდნენ, ერთი მეორის ზნე-ჩვეულებანი გაიცვნეს და ერთმანერთისაგან ბევრი რამ გადმოიღეს. მიდიელები ერთ მჭიდრო სამეფოს არ შეადგენდნენ არამედ ცალკე თემებად იყოფოდნენ; თვითეულ თემს თავისი უფროსი ან ჩვენებურათ ერისთავი ჰყავდა. ნათქვამია, ციხე შიგნიდამ გატყდებაო; თვითეული თემის უფროსი პირადი ინტერესებით იყო გატაცებული, როგორც საქართველოს ერისთავები, ერთი მეორეს ებრძოდნენ და ერთი მამულის შვილებს ერთმანერთის სისხლს აღვრევინებდნენ, იმის მაგიერ, რომ ძმურათ ხელი-ხელს მიეცათ და თავისი ძალა მამულის კეთილდღეობისათვის მოუხმარებიათ. შინაურმა ბრძოლამ მიდია დააუძლურა და ამის გამო 800 წელს დაიპყრეს და ხარკი დაადვეს. ამ გვარ უბედურებას კარგი შედეგი მოჰყვა; მიდიელები გამოფხიზლდნენ, თავის შეცდომას მიხვდნენ, ერთმანერთს ძმურათ ხელი მისცეს და ყველა ერთგულათ საზოგადო მიზნისაკენ გაეშურა. ამიტომ მიდიის სამეფო თანდათან ისევ გამობრუნდა და მეფე კიაქსარის დროს ის თავის სატახტო ქალაქ ეკბატანათი ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. კიაქსარმა ასურეთი დაამარცხა და თავისი სამეფოს საზღვრები მდინარე ჰალისამდე გაიტანა.

კიაქსარის შემდეგ ტახტზედ მისი შვილი ასტიაგი ავიდა. ეს იყო უტვინო და უხასიათო მეფე, რომელიც ქეიფისა და დროს ტარების მეტს არას დაეძებდა. თავისი ყოფაქცევითა და მოქმედებით მან ხალხს თავი შეაძულა და მხოლოთ კარგი მეთაური იყო ეხლა საჭირო, რომ სამეფო ამ გვარი უმზგავსი პატრონისაგან გაენთავისუფლებია. ეს მეთაურიც მალე გამოჩნდა: ასტიაგის ქალიშვილი ცოლად ჰყავდა მის მოხარკე სპარსეთის მეფე კამბიზ I-ს; კამბიზს ჰყავდა ვაჟი-

შვილი კიროსი, რომელიც ბაბუასთან იზრდებოდა ეკბატანა-
ში. გამჭრიახი ჭკუა-გონებით დაჯილდოებული ყმაწვილი კა-
ცი მეფის შინაგან ცხოვრებას და ხალხის უკმაყოფილებას
თვალ-ყურს ადევნებდა, ხალხის მისდამი სიძულვილს, რაც შე-
ეძლო, ცეცხლს უნთებდა და თავის მხრივ არასფერს არ ზო-
გავდა, რომ ხალხისათვის თავი შეეყვარებია. როცა დარწმუნ-
და, ეხლა-კი კარგი დრო არისო, გადუდგა მეფეს და შეთქმუ-
ლობა მოახდინა. მყისვე მთელი სპარსეთი ამხედრდა; ასტიაგ-
მა შვილის-შვილის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა, მაგრამ მისი
ჯარი კიროსს მიემხრო. ამ გვარად 560 წელს მიდიის სამეფო
დაემხო და მისი ალაგი სპარსეთმა დაიჭირა. ამის შემდეგ კი-
როსმა დაიპყრო დაღესტანი, კოლხიდა და მცირე აზიისაკენ
გაილაშქრა. მცირე აზიის უპირველესი მცხოვრები თურანე-
ლები და კუშიტები იყვნენ. მათ შემდეგ კილიკია სემიტებმა
დაიჭირეს, მცირე აზიის დანარჩენი ადგილები-კი არიელებმა
დაიპყრეს და ფრიგიისა და ლიდიის სამეფოები შეადგინეს.
ფრიგიელებს ბერძნებთან მეგობრული განწყობილება ჰქონდათ
და იმ გვარ განათლებულ ხალხთან დაახლოებამ, როგორიც
ბერძნები იყვნენ, მათ დიდი სარგებლობა მოუტანა: მაშინ
ფრიგია ძალიან მდიდარი და განათლებული სახელმწიფო იყო,
თვით საბერძნეთსაც-კი ბევრით აღარ ჩამოუვარდებოდა. ლი-
დიის სამეფო კრეზის დროს გაძლიერდა. ეხლაც ლაპარაკში
ხშირათ ხმარობენ, ესა და ეს კაცი კრეზიაო, იმის მაგიერ,
რომ ძალიან მდიდარიაო.

კიროსმა კრუზი დაამარცხა და ლიდია დაიპყრო; შემდეგ
ბაბილონი აიღო და მთელი წინა აზიის მბრძანებელი გახდა.
მხოლოთ თურანელებს ვერა მოუხერხა-რა და ხშირათ გაილაშ-
ქრებდა ხოლმე მათ წინააღმდეგ; ერთ ამ გვარ ლაშქრობის
დროს ის მძიმეთ დაიჭრა და გარდაიცვალა.

კიროსის შემდეგ მისი შვილი კამბიზ II გამეფდა. მან მო-
ჰკლა თავისი ძმა ბარდოსი, დაიპყრო ეგვიპტე და მთელი აფ-
რიკის დაპყრობაც განიზრახა, მაგრამ რამოდენჯერმე დამარცხ-
და, ჯარი შიმშილით ამოუწყდა და იძულებული გახდა, ისევ
მემფისში დაბრუნებულიყო. ამ დროს ეგვიპტეში ახალ აპისს
დღესასწაულობდნენ და ამიტომ ხალხი ძალიან მხიერულებდა.
კამბიზს ეგონა, ხალხს ჩემი დამარცხება იამა და შანს მიგებ-
სო, გაბრაზდა, აპისი თავისი ხელით მოჰკლა, საფლავებიდამ
მუმიები ამოაყრევია და რამოდენიმე წარჩინებული ზვარის ეგ-
ვიპტელი ჩამოაღრჩობია. ამ დროს ამბავი მოუვიდა, სპარსეთ-
ში გაუმატი გამეფდა, რომელმაც თავისი თავი ბარდოსად გა-
მოაცხადაო. მართლაც ის მოკლულ ბარდოსს ძალიან წააგავ-

და და ხალხმა თავის მეფედ აღიარა. ამ ამბის გაგებაზედ კამ-
ბიზმა თავი მოიკლა, მაგრამ არც გაუმატს უმეფნია დიდხანს:
ხალხმა მალე შეუტყო სიყალბე და მოჰკლა. სამეფო ტახტზედ
ავიდა დარიოს I. შვიდი წელიწადი მან აჯანყებულ ოლქების
დაშოშმანებას მოანდომა და შემდეგ სამეფოს მართვის საქმეს
შეუდგა.

მთელი სამეფო მან დაყო 20 ოლქად; თვითოეულ ოლქს
განაგებდა ერთი მმართველი, რომელიც სამოქალაქო უფლე-
ბით იყო აღჭურვილი. სამხედრო უფლების წარმომადგენელი
კიდევ სხვა იყო. ორივე ისინი თავის მოქმედებაში ანგარიშს
აძლევდნენ მეფის მწერალს; გარდა ამისა მეფე სურვილისამებრ
გამოგზავნიდა ხოლმე კერძო კაცს, რომელსაც მათი ნამოქმე-
დარი უნდა აეწონ-დაეწონა და მეფისთვის მოეხსენებია. ყო-
ველი ოლქი გადაჭრილ გარდასახადს იხდიდა და სამეფოს ამ
გვარათ 150 მილიონი შემოსავალი ჰქონდა ყოველ წლივ. სა-
მეფოში ტრიალებდა ვერცხლისა და ოქროს წვრილი ფული –
დარეიკები. მთელი სამეფოს თავი იყო მეფე. ის თავის მოქმე-
დებაში ანგარიშს არავის აძლევდა, თავისი თავის მსაჯული თვი-
თონ იყო. განუსაზვრელი უფლება ხელთ ეპყრა და მთელი
სამეფო მისი ყურმოჭრილი მონა იყოი მეფე თავის თავს ქვე-
ყნიურ ღმერთად რაცხდა და ეგონა, ხალხია მეფისათვის გა-
ჩენილი და არა მეფე ხალხისათვისო.

სპარსელებმა ყოველისფერი ჯერ ქალდეველებისაგან გად-
მოიღეს, შემდეგ ბერძნებისაგან. მათი ანბანი ასურული იყო.

შესანიშნავია მხოლოთ მათი ხუროთ-მოძღვრება; მათი
ქანდაკება-კი წმინდათ ასურულია, თუმცა სილამაზით, სინა-
ზით და სინამდვილით უკანასკნელს გაცილებით სჯობია.

მთელი ძველი აღმოსავლეთი დარიოსს ეკუთვნოდა, მაგ-
რამ ის ამით არ კმაყოფილდებოდა. „კიროსმა მცირე აზია
დაიპყრო, – კამბიზმა ეგვიპტეო – ამბობდა ის – მეც უნდა ვისა-
ხელო რითიმე თავიო“. შავი ზღვის ჩრდილო ნაპირებზედ,
დნეპრიდამ მოკიდებული დონამდე, ცხოვრობდნენ სკვითები;
500 წელს ქრისტეს წინეთ დარიოსმა შვიდასი ათასი მეომარით
მათ წინააღმდეგ გაილაშქრა; მაგრამ იმედი გაუცრუვდა, დამარცხდა
და იძულებული გახდა, თავისი განზრახვის შეუსრულებლათ
უკან დაბრუნებულიყო.

ისტორიაში სპარსელებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ
მიდიელებზედ. ინდუსები მშვიდობიანი ხალხია, სპარსელები-
კი – მეომარი; მაგრამ დანარჩენში სპარსელები და ინდუსები
ერთმანერთს ძალიან ჰგვანან. სპარსელები ნიჭიერი ხალხია,
იდეალურ წარმატებისაკენ მიისწრაფის; მათი ძველი სარწმუ-

ნოებაც იდეალურია, რომლის მაღალი ზნეობრივი სწავლა ბუდდას სარწმუნოებას წააგავს. აზიაში მხოლოთ სპარსელებმა შექმნეს სხვაზედ უმალ სამმართველო ორგანიზაცია, მაგრამ ძლიერი ბუნების ზეგავლენით *) მალე მოიქანცნენ. დარიოსის შემდეგ სპარსეთი დაეცა, უკან და უკან დაიწია და პატარა საბერძნეთთან შეტაკებით სრულიათაც დაემხო.

რაოდენადაც უფრო იკვლევს მეცნიერება ძველ ისტორიას, აღმოსავლეთი მით თანდათან უმეტესი პატივის ცემის ღირსი ხდება. „მისი ისტორია შემდეგი კაცობრიობის ისტორიის გასაღებია, მისი ცივილიზაცია – ევროპის ცივილიზაციის დედაა“.

დასასრული.

---

*) იხილე ბოკლის „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“.